# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 11 იანვარი 2000 №1 (1023) | ფასი 50 თეთრი


## 2 ქინქლაძე იკაპიტნებს?

„დერბის“ ქართველ ნახევარმცველს ნაკრების კაპიტნობა შესთავაზეს

## 3 საქალანდო კალენდარი

მწვრთნელთა საბჭომ სასურველი კალენდარი შეადგინა

## 4 ვის გაუხარდება ოთხ წელიწადში ერთხელ?

„ტორპედოს“ განახლებულ-განათებული სტადიონი სუპერფინალს 29 თებერვალს უმასპინძლებს

## 7 დიდებული თამაში იყო...



რივალდომ ამნისტია გოლით აღნიშნა

## 14 უფულო, უქულო, უსახლკარო

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა შვეიცარიელებს თავი დააპატიჟებინა და სტუმრად ორივე მატჩი წააგო

## 14 დღეს მორაგბეები პრეზიდენტს ირჩევენ

კანდიდატი ერთია: საქართველოს რაგბის კავშირის ახლანდელი თავკაცი ბიძინა გეგიძე

# ხუთი გოლი და ოთხი გაძევება



REUTERS სან პაულოდან

მადრიდელი ნიკოლა ანელკა ორ მაროკოელს, იუსუფ აჰამისა და რედუანე ელ ჰაიმეურს შორის გაძრომას ცდილობს

კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე „რეალი“ „რაჯა კასაბლანკას“ განადგურებას უპირებდა, მაგრამ სინამდვილე სხვაგვარი გამოდგა. მადრიდელებმა მაროკოელებს გამარჯვების გოლი 88-ე წუთზედა გაუტანეს 3:2. შეხვედრა გაძევებებითაც უხვი გამოდგა. ევროპელთაგან მოედანი ნაადრევად დატოვეს გუტიმ, რობერტო კარლოსმა და კრისტიან კარემბუმ, ხოლო აფრიკელთაგან იგივე ბედი ბუხაიბ ელ მუბარკის ეწია.

# ჩელსი: მოგვეცით ქართველი!

## თუ ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტმა ინება, რატი ალექსიძე პრემიერლიგელი გახდება

*ჩელსი, ელიტარული უბანი ლონდონში. „ჩელსი“, ვარსკვლავებით გადატვირთული საფეხბურთო კლუბი. რატი ალექსიძე, ქართველი ფეხბურთელი, ერთ დროს „ჩელსის“ ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთი შედეგიანი წევრი. რჩევა-დარიგებებს გულიტისგან ისმენდა. ვიალის, დი მატეოსა და სხვა ცნობილ ფეხბურთელთა გვერდით ვარჯიშობდა. საფიქრალიც სხვა არა ჰქონდა, ფეხბურთი და მხოლოდ ფეხბურთი.*

იხილეთ მეორე გვერდი



რატი ალექსიძე „ჩელსის“ გაახსენდა

# ჩელსი: მოგვეცით ქართველი!


ბადრი კეთილაძის ფოტო

რატი ალექსიძე ეროვნული გუნდის ვარჯიშისას კარშიც მდგარა

დასაწყისი პირველ გვერდზე

დღითი დღე იზრდებოდა იხვეწებოდა. თბილისში დაბრუნებული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ყველასგან გამოირჩეოდა მომზადების მაღალი დონით, საფეხბურთო აზროვნებით.

ინგლისიდან დაბრუნება — ეს იყო რატი ალექსიძის ყველაზე დიდი შეცდომა. საქართველოს მდორე, დამყაყებულ ჩემპიონატში ბურთაობამ თავისი დაღი დააჩნია. ლამისაა, ჩვეულებრივ, რიგით ფეხბურთელად იქცეს.

თუმც, მისდა საბედნიეროდ, ჯერაც არ არის გვიან. „ჩელსის" ხელმძღვანელებს ისევ ახსოვთ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი რატი ალექსიძე.

...რატის ახალი წლის დადგომამდე რომ ჩამოვუგდეთ მის მომავალზე სიტყვა, „ჩელსიდან" ველოდები შეხმიანებასო, სერიოზული სახით გვითხრა.

არადა, იმ დღეებში ქართული საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები რატი ალექსიძის „ალანიაში" გადასვლაზე ბევრს ლაპარაკობდნენ.

მაგრამ თურმე რატი არც ტყუოდა და არც ხუმრობდა. „ჩელსის" და ვიალის მართლა მოსურვებიათ ქართველის დაბრუნება.

თითქოს საპრობლემოც რაღაა. პრემიერლიგის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბს სურს, მოთამაშე შეიძინოს, ფეხბურთელიც და მისი გუნდიც თანახმანი არიან. მაგრამ, მოგეხსენებათ, ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი მუშაობის უფლებას იოლად არ იძლევა.

რატი ალექსიძეს ეროვნულ ნაკრებში თამაშების 75 პროცენტი არ უგროვდება, ამიტომ თამაშის უფლებას ვერ მივცემთო, ასეთი იყო იქაური ჩინოვნიკების ვერდიქტი.

„ჩელსიმ" ალექსიძის გადმოსაყვანად ბრძოლა გაამძაფრა. 6 იანვარს კლუბმა იმავე უწყებას თავისი აპელაცია წარუდგინა.

ლონდონური კლუბის წარმომადგენელი გუინ უილიამსი თავის სიმართლეს ასე ამტკიცებს: მართალია, მას არ უგროვდება ეროვნულ ნაკრებში თამაშების საჭირო რაოდენობა, მაგრამ რატი ალექსიძეს სისტემატურად იწვევდნენ ეროვნულ გუნდში, მერე კი ახალგაზრდულში გადაჰყავდათ. მან თითქმის ყველა მატჩი ითამაშა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, სამ შეხვედრაში კი ეროვნულის ღირსებასაც იცავდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, მისთვის გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია.

ვერ გეტყვით, დააკმაყოფილებს თუ არა ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტს გუინ უილიამსის არგუმენტი, მაგრამ ფაქტი ერთია, დეპარტამენტმა აპელაცია მიიღო. საქმის გარჩევა 21 იანვარსაა დანიშნული.

რატი ალექსიძე კი თბილისშია, ვარჯიშობს და ინგლისელთა ზარს ელის. იმედი აქვს, რომ ნაცნობ ადგილს დაუბრუნდება, აქაურ ჩემპიონატს და უკუსვლას თავს დააღწევს.

მამუკა ქვანტალიანი

# საქართველოს ნაკრები: განჯიდან ბაქოში, მერე ტალინში

კვიპროსზე თებერვლის დამდეგს დაგეგმილი საერთაშორისო ტურნეს მატჩების გარდა საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე კიდევ რამდენჯერმე ითამაშებს.

დღესდღეობით გადაწყვეტილია, რომ ქართველთა ეროვნული, ახალგაზრდული და 18-წლამდეთა გუნდები 3 და 4 ივნისს აზერბაიჯანს ესტუმრებიან, ოღონდ არა განჯას, სადაც მეზობლები აქამდე თამაშობდნენ ხოლმე და ჩატარებულ ორ მატჩში ორჯერვე მასპინძლებს უმარჯვიათ. ამ ზაფხულს საქართველოს ნაკრები დედაქალაქ ბაქოში ითამაშებს. ზუსტად კვირის თავზე კი ჩვენი ეროვნული გუნდი ტალინს ეწვევა და 11 ივნისს ესტონელებს გაეჯიბრება. ბალტიისპირელებს უკვე ამ მატჩის დაწყების დროც გამოუცხადებიათ — 11 საათი. წინადღით კი, მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატი იწყება.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, მოსალოდნელია, ჩვენებურებმა აპრილში სომხეთში, ხოლო აგვისტოში მინსკში, ბელორუსებთან ამხანაგურად ითამაშონ.

უახლოეს მატჩს კი ეროვნული გუნდი, შარშანაც ვწერდით, თებერვალს, კვიპროსზე, სლოვაკების წინააღმდეგ ჩაატარებს.

კობა ინასარიძე

# ტორპედო აბრამიძეს კვიპროსში აკვირდება

დეკემბრის ბოლოს თბილისის „თბილისიდან" „დინამოში" გადაბარებულმა ვალერი აბრამიძემ ახალ გუნდთან ვარჯიშიც კი ვერ მოასწრო. 19 წლის ცენტრალურ მცველს მოსკოვის „ტორპედოს" ხელმძღვანელობა დაუკავშირდა და გასასინჯად მიიწვია. აბრამიძემაც უმალ რუსეთის დედაქალაქს მიაშურა, 4 იანვარს კი ტორპედოელებთან ერთად კვიპროსში გადაფრინდა ორკვირიან შეკრებაზე.

მოსკოველებმა კუნძულზე კიდევ ერთი ახალწვეული იახლეს — კიევის „დინამო 2"-ის საყრდენი ნახევარმცველი დმიტრი ბერმუდესი. კვიპროსში „ტორპედოს" სამი იუგოსლაველი ფეხბურთელიც შეუერთდა და საწვრთნელ პროცესში ჩაერთო.

მოთამაშეთა სიმრავლის გამო მწვრთნელმა ორი გუნდი დააკომპლექტა — „ტორპედო 1" და „ტორპედო 2". მეორეში ძირითადი შემადგენლობის ბირთვმა მოიყარა თავი. ჩვენებურს პირველ გუნდში მიუჩინეს ადგილი და საკონტროლო მატჩში სასტარტო თერთმეტეულში გაამწესეს. 7 იანვარს აიანაპაში „ტორპედო 1" ვორონეჟის „ფაკელს" ამხანაგურად გაეჯიბრა და 2:1 გაიმარჯვა. აბრამიძემ მხოლოდ პირველ ტაიმში (0:0) ითამაშა, მეორეში კი ივანოვს დაუთმო სარბიელი.

18 იანვრამდე მოსკოველები კიდევ რამდენიმე შეხვედრას გამართავენ და შინ გაბრუნდებიან. აბრამიძის გატორპედოელების ამბავიც საბოლოოდ მაშინ გაირკვევა.

ხვიჩა სანიკიძე


ბადრი კეთილაძის ფოტო

ვალერი აბრამიძე

# დინამო თბილისის მესაფლავე?

მეორე ეტაპის დაწყებამდე ჯერაც დიდი დროა, მაგრამ ფაქტია, სეზონის განახლებას „თბილისი" ერთობ შეთხელებული შემადგენლობით შეხვდება და ისიც სათქმელია, რომ „დინამოს" შვილობილს და ამავ დროს პირველი ლიგის დებიუტანტს რჩეულთა შორის ადგილის შენარჩუნება ერთობ გაუჭირდება.

რამაზ მუმლაძეს — „თბილისის" მთავარ მწვრთნელს მართლაც დიდი თავსატეხი გაუჩენია, ხუმრობაა? გუნდი ერთბაშად თერთმეტმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ უმრავლესობას პირველ ეტაპზე ძირითად შემადგენლობაში ვხედავდით, თავად განსაჯეთ, „თბილისს" მხოლოდ ლადო ბურდული და ირაკლი შენგელია შემორჩა (ძირითადი შემადგენლობიდან).

თბილისელებმა ჯერჯერობით არსენალელი ბორის გონჩაროვი შეიმატეს. დებიუტანტები კი მაინც უფროსმა ძმამ — „დინამომ" გაწირა. ამ კლუბმა შვილობილს ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი წაჰგვარა. მიუხედავად ამისა, რამაზ მუმლაძე მაინც იმედით უყურებს მომავალს:

— ფაქტია, შოკში ვართ, თითქმის მთელი ბირთვი გამოგვეცალა ხელიდან, მაგრამ არაფერია, ჩვენსას ვეცდებით, რამდენიმე ცნობილი მოთამაშე შეგულებული გვყავს. ჯერ ადგილზე მოვემზადებით, შემდეგ, გუნდის ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბებისთანავე, წყალტუბოში გადავინაცვლებთ და ვნახოთ, რა გამოვა.

პაატა ქვანტალიანი


ბადრი კეთილაძის ფოტო

ვილა დარჩა „თბილისის" სკამზე?

# დერბის ქინქის გამოშვება არ სურს

## გიორგი ქინქლაძე კი აცხადებს, რომ ნაკრების კაპიტნობა შესთავაზეს

გასულ პარასკევს „დერბი ქაუნთიმ" გაავრცელა განცხადება, რომ არ სურს ქართველი ფეხბურთელის გიორგი ქინქლაძის გაშვება საქართველოს ნაკრებში, რომელმაც კვიპროსის ტურნირზე უნდა ითამაშოს.

საქართველოს ფედერაციამ „დერბის" სთხოვა, ქინქლაძე 31 იანვრიდან 8 თებერვლამდე გაენთავისუფლებინა. სწორედ ამ ერთკვირიან მონაკვეთში ტარდება კვიპროსში ტურნირი მასპინძლების, სლოვაკეთის, ლიტვის, რუმინეთის, უკრაინის, ლატვიის, მოლდოვას და ჩვენებურთა მონაწილეობით.

„დერბის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ სურთ ქინქლაძის გაშვება, რადგან ამ შემთხვევაში იგი ვერ ითამაშებს „შეფილდ უენსდეისთან" 5 თებერვლის ტურში. „დერბი" აპირებს, თხოვნით მიმართოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ფეხბურთელი დაუტოვოს. მანამდე კი შეეცდება გაარკვიოს, რამდენად მნიშვნელოვანია კვიპროსის ტურნირი ფიფასთვის.

თავად ჩვენს ფედერაციას და ნაკრების ხელმძღვანელ დუეტს კი, როგორც ჩანს, გიორგი ქინქლაძის მიმართ ერთობ სერიოზული გეგმები აქვს. თავად ქინქლაძემ ჟურნალ „Ram page"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნაკრების თავებმა ეროვნული გუნდის კაპიტნობა შესთავაზეს.

შეგახსენებთ, რომ გრიპის გამო ქინქლაძე კარგა ხანია „დერბის" რიგებში არ გამოჩენილა. შესაძლოა, დღეს მან „პრაიდ პარკზე" „დერბის" სარეზერვო გუნდში ითამაშოს, რომელიც ლონდონის „არსენალის" დუბლებს ხვდება.

სიმონ მენაბდე

# ახალ წელს ახალი კონტინგენტით

ჯერ კიდევ ახალ წლამდე იმდენი ფეხბურთელი ვარჯიშობდა „ლოკომოტივის" ბაზაზე რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით, რომ აშკარა იყო — საუკუნის ბოლო წელს რკინიგზელები ახალ-ახალი ტრანსფერებით დაიბედებდნენ. ვინ-ვინ და ძოძუაშვილი რომ თავის გუნდში „უჩებკა-სტაჟიროვკას" არ მოაწყობდა, ეს იმთავითვე იყო ცნობილი. ისიც ბუნებრივია, მასთან მოვარჯიშე ფეხბურთელები სამომავლო გეგმებს „ლოკომოტივს" რომ უკავშირებდნენ.

წავიდა ძველი წელი. ძოძუაშვილთან მოვარჯიშე ფეხბურთელებიც მრავლად წავიდნენ „ლოკომოტივიდან". მოვიდა ახალი წელი და მიხიჩამაც ახალი კონტინგენტი მოიყვანა რკინიგზელთა შორის. შევსება ფრიად და ფრიად სოლიდურია (ქართული ფეხბურთის საზომებით) — ძოძუაშვილმა ნიჭიერ ახალგაზრდებზე გააკეთა აქცენტი და ისეთი ფეხბურთელებიც მოიხელთა, რომელთაც გარკვეულწილად ქართული ფეხბურთის მომავალს უკავშირებენ.

„ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტის ტარიელ ღვაბერიძის დასტურით, რკინიგზელთა შორის მეთერთმეტე ეროვნულის მეორე წრეში სამი ექს-დინამოელი — გივი კვარაცხელია, ზურაბ ხიზანიშვილი და მეკარე გიორგი ლომაია ითამაშებს. ამათ ამ სეზონამდე ლატვიაში გაწვრთნილ-ნათამაშები და უელსში თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სამი გოლის გამტანი ცეზარ ხუროძეც შეუერთდება და აქამდე ვეტერანებით „გაძეძგილ" „ლოკომოტივს" ახალგაზრდული სისხლიც დაემატება.

ეს სატრანსფერო პოლიტიკის შესახებ და „ლოკომოტივის" საკონტრაქტო სისტემაშიც სიახლეა — მოგეხსენებათ, ძოძუაშვილის გუნდში მისვლამდე რკინიგზელთა კლუბის მესვეურები მოთამაშეებთან მოკლევადიან კონტრაქტებს აფორმებდნენ (სამი თვე, ექვსი თვე, სეზონის ბოლომდე). „ამჯერად ფეხბურთელებს გაცილებით დიდი ხნით დავუდებთ-ხოლმე ხელშეკრულებებს. ამის მაგალითი გივი კვარაცხელია იქნება, რომელთან ხელშეკრულების პირობებზეც უკვე ვმუშაობთ" — გვითხრა ტარიელ ღვაბერიძემ.

სხვა ხსენებულ ფეხბურთელებს რაც შეეხებათ, ცეზარ ხუროძემ უკვე გააფორმა ერთწლიანი ხელშეკრულება „ლოკომოტივთან", გიორგი ლომაიასა და ზურაბ ხიზანიშვილის კონტრაქტების შესახებ კი უახლოეს მომავალში გაიგებს „სარბიელის" მკითხველი.

კონსტანტინე გოგიშვილი



შალვა ლაცაბიძე

ნუგზარ ქათიბაძის ფოტო



ზაზა ზირაქიშვილი

ბადრი ქათიბაძის ფოტო

# ორი ქართველი ბულგარეთში

ქართველმა ფეხბურთელებმა — თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა ზაზა ზირაქიშვილმა და „არსენალის“ მცველმა შალვა ლაცაბიძემ რამდენიმე დღის წინ ბულგარეთს მიაშურეს. მათ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი იქაური კლუბი, ვარნის „სპარტაკი“ დაუკავშირდა და ბულგარეთში გასასინჯად მიიწვია.

ერთი წელია, ბულგარული კლუბები ამ ფეხბურთელებით არიან დაინტერესებულნი. შარშან ბულგარეთში შეკრებაზე მყოფმა „არსენალმა“ (მაშინ ზირაქიშვილიც არმიული კლუბის ღირსებას იცავდა) იქ რამდენიმე საწვრთნელ-საკონტროლო მატჩიც გამართა. სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ მიაქციეს ყურადღება იქაურმა კლუბებმა ამ დუეტს. განსაკუთრებით ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი კლუბი, სოფიის „ლევსკი“ აქტიურობდა. ზირაქიშვილის და ლაცაბიძის ტრანსფერის განხორციელება რეალური იყო, მაგრამ ბოლო მომენტში „არსენალის“ მაშინდელმა ხელმძვანელობამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ფეხბურთელები ჯერ ჩვენ გვჭირდებაო. ეს გასულ ზამთარს მოხდა. მოგვიანებით ლაცაბიძე „ლევსკიმ“ გასასინჯად მიიწვია, რამდენიმე მატჩიც ათამაშა, თუმცა ქართველი საბოლოოდ მაინც „არსენალში“ დაბრუნდა. წამოსვლამდე რამდენიმე ბულგარული კლუბის წარმომადგენლებს მისთვის უთქვამთ, მოგვიანებით დაგიკავშირდებითო და როგორც ჩანს, სიტყვაც აასრულეს.

ახლა ყველაფერი ფეხბურთელების მარიფათზეა დამოკიდებული. არ არის გამორიცხული, „სპარტაკის“ გარდა სხვა კლუბებმაც გამოთქვან მათი გასინჯვის სურვილი. ვნახოთ, რა იქნება, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კი არც „დინამო“ და არც „არსენალი“ ზირაქიშვილსა და ლაცაბიძეს გუნდიდან ოფიციალურად წასულებად არ თვლიან.

**ვანო ოქროპირიძე**

# კრილიას ნემსაძე აგოდებს

სამარის „კრილიას“ ცენტრალური ნახევარმცველის ერთადერთი გადაუჭრელი პრობლემა აწუხებს. კლუბის ხელმძღვანელობამ მყარად გადაწყვიტა ამ პოზიციაზე სათამაშოდ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე მიიწვიოს. „კრილიას“ მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი ძლიერ მოწადინებულია, ნემსაძე დაიყაბულოს და 2000 წლის სეზონს სოლიდური შემადგენლობით შეხვდეს. სამარელებს ამბიციები მოსჭარბებიათ და მომავალ ჩემპიონატში საპრიზო ადგილებს უმიზნებენ.

იანვრის პირველი კვირა ტარხანოვის შეგირდებმა მოსკოვში გაატარეს. ისინი „სპარტაკის“ მანეჟში გადიოდნენ შეკრებას და გიორგიც იქ მიიწვიეს მოსალაპარაკებლად. ნემსაძე გასული კვირის ბოლოს მართლაც ეწვია მოსკოვს და „კრილიას“ ხელმძღვანელობას საკუთარი პირობები წაუყენა.

როგორც ფეხბურთელმა „სარბიელს“ განუცხადა, თუ სამარელები დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს, მზადაა, „კრილიას“ მაისურა მოირგოს. თუმცა ლაპარაკია მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტზე.

გიორგი საბოლოო პასუხს თვის ბოლოსთვის შეიტყობს. მანამდე კი ტარხანოვის შეგირდები კვიპროსზე გაივლიან შეკრებას. ამჟამად მწვრთნელის განკარგულებაში 36 ფეხბურთელია. მათ შორის არიან — მეკარე დავით გვარამაძე, მცველი ზურაბ ფოფხაძე და თავდამსხმელი ზურაბ წიკლაური.

დიდი შანსია, სამარული კლუბი მეოთხე ქართველით გაძლიერდეს. თუ ეს ტრანსფერი არ განხორციელდა, რა გზას დაადგება გიორგი, თავად ფეხბურთელმა იცის. როგორც გუშინ გვითხრა, სხვა რამდენიმე ვარიანტიც აქვს და გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღება არ სურს.

**ხვიჩა სანიძიძე**



ბადრი ქათიბაძის ფოტო

გიორგი ნემსაძე

# საკალანდო კალენდარი

ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა საქმეს შეუდგა — ნაახალწლევს რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი მწვრთნელთა საბჭოს წევრებთან ერთად სფფ-ში შეიკრიბნენ და ქართული ფეხბურთის ახალი თავის ტკივილის — 2000 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის VIII შესარჩევი ჯგუფის კალენდრის შესახებ იმსჯელეს.

გამართული კალენდარი რომ მომავალ წარმატებათა საწინდარია, ეს არავისთვის უნდა იყოს ასახსნელი და ამდენად, ნამდვილად მისასალმებელი გახლავთ, რომ ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა აქედანვე შეუდგა სამომავლო სამზადისს.

თავდაპირველად მკითხველს იმას ვამცნობთ, რომ უეფამ ახალი კალენდრისთვის საგანგებოდ გამოყო სათამაშო დღეები და ხუთგუნდა და ათ ტურიანი VIII ჯგუფის თამაშებიც სწორედ ამ დღეებში უნდა გაიმართოს — I ტური 2000 წლის 2-3 სექტემბერს დაიწყება, ბოლო მატჩებს კი მერვეჯგუფელები 6-7 ოქტომბერს ჩაატარებენ. დიდი გამოთვლა რად უნდა — თითო გუნდს რვა-რვა შეხვედრის გამართვა მოუწევს, თითოეულ ტურში მონაწილეთა კენტი რაოდენობის გამო ერთი მეტოქე აუცილებლად დაისვენებს.

ახლა კი კონკრეტულად მწვრთნელთა საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ — მთავარი მწვრთნელებისა და საბჭოს წევრების ყურადღება კალენდრის ოთხ ვარიანტზე შეჩერდა. აქედან ერთი თავად უეფამ შესთავაზა VIII ქვეჯგუფში შემავალი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს. იგი მაშინ ამოქმედდება, თუ მეტოქე გუნდები ვერ შეთანხმდებიან. „შინდისფერთა საკალანდო კალენდრის“ ოთხივე ვარიანტზე დაწვრილებით მსჯელობა ამ შემთხვევაში ზედმეტი უნდა იყოს, ვინაიდან სხდომის მონაწილეებმა თავად აირჩიეს ორი ყველაზე მისაღები ვერსია: პირველი — „სასურველი“ და მეორე — „უეფასეული“, რომელსაც ჩვენი ნაკრების მესვეურები მხარს დაუჭერენ, თუკი თავიანთთვის სასურველ კალენდარს ვერ „გაიტანენ“.

ზემოხსენებული ვარიანტების შესახებ ერთს ვიტყვით — მათი ავკარგიანობა შესარჩევი ტურნირის შემდეგ გამოჩნდება, მაგრამ რახან ძოძუაშვილი — ყიფიანის ტანდემს უკვე შეურჩევია თავისთვის მისაღები მატჩთა განრიგი, ბუნებრივია, დამარწმუნებელი საბუთებიც ექნებათ, რომელთა მეშვეობითაც მეტოქე გუნდების წარმომადგენლებს თავიანთ აზრს (და კალენდარს) „თავს მოახვევენ“.

ის კი, ძოძუაშვილი — ყიფიანის ტანდემს რომ ნამდვილად გააჩნია საბუთები „სასურველი“ კალენდრის ბუქარესტულ შეხვედრაზე „გასატანად“, მწვრთნელთა საბჭოს წევრებმაც დაგვიდასტურეს.

*სერგო კოტრიკაძე:* „მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე ოთხი ვარიანტი კი განვიხილეთ, მაგრამ, ბუნებრივია, მთავარი ყურადღება ძოძუაშვილისა და ყიფიანის ვერსიაზე გამახვილდა, მით უმეტეს, იგი ბევრი ჩვენგანისთვის (მწვრთნელთა საბჭოს წევრებისთვის — კ.გ.) მისაღები აღმოჩნდა.“

ნიკა ამირეჯიბი: „ვინაიდან ნაკრების შედეგზე სხვებზე მეტად მთავარი მწვრთნელი აგებს პასუხს, მისი აზრი სხვებისაზე უფრო უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი მთავარი მწვრთნელების მიერ შემოთავაზებულ ვერსიასაც ამიტომაც მივაქციეთ სხდომაზე მეტი ყურადღება და „სასურველ“ ვარიანტადაც ის ჩავთვალეთ. რა თქმა უნდა, ძოძუაშვილს და ყიფიანს გააჩნიათ თავიანთი არგუმენტები, რომელთა სისწორეშიც პირადად მე ეჭვი არ მეპარება.“

ასე რომ, „საკალანდო კალენდარი“ გვაქვს, ოფიციალურს რაც შეეხება, აგერ 31 იანვარი და აგერ ბუქარესტი...

**კონსტანტინე გოგიჩაიშვილი**



ნიკა ამირეჯიბი

ირაკლი ნიკოლაძის ფოტოები



სერგო კოტრიკაძე

| „სასურველი“ კალენდარი | „უეფასეული“ კალენდარი |
|---|---|
| I ტური | I ტური |
| 2-3 სექტემბერი 2000 წელი | 2-3 სექტემბერი. 2000 წელი. |
| **იტალია — რუმინეთი** | **იტალია — საქართველო** |
| **ლიტვა — უნგრეთი** | **უნგრეთი — ლიტვა** |
| *(საქართველო ისვენებს)* | *(რუმინეთი ისვენებს)* |
| II ტური | II ტური |
| 7-8 სექტემბერი 2000 წელი | 7-8 სექტემბერი. 2000 წელი. |
| **საქართველო — ლიტვა** | **საქართველო — უნგრეთი** |
| **უნგრეთი — იტალია** | **რუმინეთი — იტალია** |
| *(რუმინეთი ისვენებს)* | *(ლიტვა ისვენებს)* |
| III ტური | III ტური |
| 10-11 ოქტომბერი 2000 წელი | 10-11 ოქტომბერი. 2000 წელი. |
| **რუმინეთი — უნგრეთი** | **უნგრეთი — რუმინეთი** |
| **იტალია — საქართველო** | **ლიტვა — საქართველო** |
| *(ლიტვა ისვენებს)* | *(იტალია ისვენებს)* |
| IV ტური | IV ტური |
| 24-25 მარტი 2001 წელი | 24-25 მარტი. 2001 წელი. |
| **ლიტვა — იტალია** | **რუმინეთი — ლიტვა** |
| **საქართველო — რუმინეთი** | **იტალია — უნგრეთი** |
| *(უნგრეთი ისვენებს)* | *(საქართველო ისვენებს)* |
| V ტური | V ტური |
| 27-28 მარტი. 2001 წელი | 27-28 მარტი. 2001 წელი. |
| **რუმინეთი — ლიტვა** | **ლიტვა — იტალია** |
| **უნგრეთი — საქართველო** | **საქართველო — რუმინეთი** |
| *(იტალია ისვენებს)* | *(უნგრეთი ისვენებს)* |
| VI ტური | VI ტური |
| 2-3 ივნისი. 2001 წელი | 2-3 ივნისი. 2001 წელი. |
| **რუმინეთი — იტალია** | **საქართველო — იტალია** |
| **უნგრეთი — ლიტვა** | **ლიტვა — უნგრეთი** |
| *(საქართველო ისვენებს)* | *(რუმინეთი ისვენებს)* |
| VII ტური | VII ტური |
| 5-6 ივლისი. 2001 წელი | 5-6 ივლისი. 2001 წელი. |
| **ლიტვა — საქართველო** | **უნგრეთი — საქართველო** |
| **იტალია — უნგრეთი** | **იტალია — რუმინეთი** |
| *(რუმინეთი ისვენებს)* | *(ლიტვა ისვენებს)* |
| VIII ტური | VIII ტური |
| 1-2 სექტემბერი. 2001 წელი | 1-2 სექტმებერი. 2001 წელი. |
| **უნგრეთი — რუმინეთი** | **რუმინეთი — უნგრეთი** |
| **საქართველო — იტალია** | **საქართველო — ლიტვა** |
| *(ლიტვა ისვენებს)* | *(იტალია ისვენებს)* |
| IX ტური | IX ტური |
| 4-5 სექტემბერი. 2001 წელი | 4-5 სექტემბერი. 2001 წელი. |
| **იტალია — ლიტვა** | **ლიტვა — რუმინეთი** |
| **რუმინეთი — საქართველო** | **უნგრეთი — იტალია** |
| *(უნგრეთი ისვენებს)* | *(საქართველო ისვენებს)* |
| X ტური | X ტური |
| 6-7 ოქტომბერი. 2001 წელი | 6-7 ოქტომბერი. 2001 წელი. |
| **ლიტვა — რუმინეთი** | **იტალია — ლიტვა** |
| **საქართველო — უნგრეთი** | **რუმინეთი — საქართველო** |
| *(იტალია ისვენებს)* | *(უნგრეთი ისვენებს)* |

# ტორპედო:
## სანუკვარი მიზნისკენ ძველი ბიჭებით

მეთერთმეტე ეროვნულის პირველი ეტაპის საუკეთესო გუნდად „ტორპედო“ მოინათლა და, სამართლიანადაც. აგერ გაზაფხული მოვა და ქუთაისელები ყველაზე მეტი — 18 ქულით განაახლებენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

დიახაც, ჩემპიონობისთვის, ვინაიდან ნებისმიერი სხვა შედეგი დავით ყიფიანის გუნდს ვერანაირად დააკმაყოფილებს და ვერც მიღწევაში ჩაეთვლება. მეორე სეზონია „ტორპედო“ იმის ცდაშია, შინაურ სარბიელზე „დინამოს“ ბატონობას მოუღოს ბოლო და, მიუხედავად იმისა, რომ რვა რჩეულ გუნდთა უძნელესი ორწრიანი მარათონი ჯერაც წინაა, შეიძლება ვთქვათ, რომ სანუკვარი მიზნისკენ „ტორპედოს“ ასე ფრთაშესხმულს ჯერ არ გაუწევია. თუმცა, ნუ ავჩქარდებით, მოვლენებს ნუ დავასწრებთ, ყველაფერს დრო და, რაღა თქმა უნდა, თამაში განსჯის.

საშუალოსეზონო სამზადისს კი ქუთაისური კლუბი ექვსი დღის წინ შეუდგა. ტორპედოელები 5 იანვარს შეიკრიბნენ საღორიის ბაზაზე. ფაქტობრივად, ძველი შემადგენლობით. არ გამართლდა მანამდე გავრცელებული ხმები „ტორპედოში“ ახალი ფეხბურთელების მიწვევის შესახებ. გუნდიდან გაშვებითაც არავინ გაუშვიათ, ეგ იყო, თითქმის ნახევარ წელიწადს ტრანსფერზე მყოფი სამი ფეხბურთელი კოტე მეტრეველი, გიორგი მაზანიშვილი და არჩილ ჩხაბერიძე კლუბის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გაათავისუფლა „ტორპედოდან“. ცვლილებები არც მწვრთნელთა ბანაკს შეხებია. დავით ყიფიანმა თანაშემწედ ჯემალ ხერხაძეც დაიტოვა და მისი სამი კოლეგაც.

მამუკა ფარჩიას ფოტო



„ტორპედომ“ ვარჯიში უცვლელი შემადგენლობით განაახლა

როგორც ვთქვით, ტორპედოელები ექვსი დღეა ვარჯიშობენ. ყიფიანმა არც უქმე — შობა დღე გააცდენინა ბიჭებს. კროსი, წვრთნა ხელოვნურსაფარიან მოედანზე, ფიზიკური მომზადება — აი ასეთია ჯერჯერობით ტორპედოელთა სავარჯიშო მენიუ. ოღონდ ეს მხოლოდ ჯერჯერობით. 15 იანვრიდან, თუ რაიმე არ შეიცვალა, „ტორპედო“ თურქეთს უნდა გაემგზავროს 10-დღიან შეკრებაზე. ქალაქ ანთალიაში ეს ქუთაისელთა მესამე ვიზიტი იქნება. ტორპედოელებს იქ 3-4 საკონტროლო თამაშის გამართვა მოუწევთ, ოღონდ ეგ არის, სპარინგ-პარტნიორთა ვინაობას ადგილზე თუ შეიტყობენ ჩვენებურები.

იანვრის მესამე დეკადის მეორე ნახევარში „ტორპედო“ [illegible] გრძობს წვრთნას, 1 თებერვალს კი ბულგარეთში გაემგზავრება, სადაც შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქ ალბენაში დაგეგმილ საკმაოდ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ტურნირი 6-დან 13 თებერვლამდე გასტანს. სავარაუდოდ, „ტორპედოს“ იქ ბულგარულ „ლევსკისთან“, „ბოტევთან“, იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან“ და რომელიმე ესპანურ ან იტალიურ კლუბთან ექნება საქმე.

ბულგარეთიდან ქუთაისელები 17 ან 18 თებერვალს გამოემგზავრებიან. 25-ში „ტორპედოს“ თასის მერვედფინალის პირველი თამაში უწევს „აკადემიასთან“.

29 თებერვალს ქუთაისში სუპერთასის მატჩს ვიხილავთ. „ტორპედო“ და „დინამო“ უკვე შეთანხმდნენ ორგანიზაციულ საკითხებზე. ერთადერთი, რამაც ამ თამაშის გამართვას შეიძლება ხელი შეუშალოს — უამინდობა, ბუნების ჭირვეულობაა (გადამეტებულ ფარგლებში) და, ღმერთმა ნუ ქნას, თორემ სუპერთასიც, ალბათ, უვადოდ გადაიდება და ქუთაისურ სტადიონზეც არცთუ უმნიშვნელო მოვლენის აღნიშვნა მოგვიანებით გახდება საჭირო. საქმე ის არის, რომ „ტორპედოს“ სტადიონს 29 თებერვლისთვის მთლიანად შემოსავენ ინდივიდუალური სკამებით, თანაც, არ არის გამორიცხული თამაში ხელოვნური განათების ქვეშ ჩატარდეს. სტადიონზე კარგა ხანია დაიწყო და უახლოეს დროში დასრულდება შვეიცარიიდან ჩამოტანილი ძვირადღირებული განათების სისტემის მონტაჟი.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I-VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი),ჩხაბერიძე(თავისუფალიაგენტი) | | |
| დინამო *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი),ზირაქიშვილი(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი),თ. კობიაშვილი(?) | ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, (თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი) | |
| ბათუმი *ჯანი კარნეველი* | | ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი) | |
| კოლხეთი *გია ტყებუჩავა* | | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი) | |
| ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე* | | ი.ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(სამგურალი) | |
| სიონი *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო) | მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი) | |
| დილა *მერაბ კოჭლამაშვილი* | | | |
| იბერია *სოსო გრუიძე* | | | |

| IX-XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი* | ჩიხრაძე,გოგიჩაიშვილი(დინამო),მ. ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი) | ლომაია(დინამო),კვარაცხელია(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ჯულელი(?) | |
| გორდა *იასონ ალადაშვილი* | | | |
| თსუ *თენგიზ კაცია* | | | |
| მერანი *უმწვრთნელოდ* | | | |
| თბილისი *რამაზ მუმლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი),აბრამიძე(ტორპედო,მოსკოვი,რუსეთი),ისიანი(სიონი),ლ. მელქაძე,ა.ჩიხრაძე(?) | გონჩაროვი(არსენალი) | |
| სამგურალი *იასონ ბზიკაძე* | ი. ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(ვიტ ჯორჯია) | | |
| ხობი *გრიგოლ გოცირიძე* | | | |
| არსენალი *მამუკა გეგეჭკორი* | ჩლაიძე,თარგამაძე(ბათუმი),გონჩაროვი(თბილისი),ლაცაბიძე(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

## ინგლისი

XX ტური

### ასტონ ვილა 1:1 ტოტენჰემი

0:1 შერვუდი (44), 1:1 ტეილორი (75)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, უოტსონი, ტეილორი, მერსონი, ბოატენგი, ა. რაიტი (სტოუნი 74), კარბონე (ვასელი 66), ჯოაკიმი
ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, ს. კემპბელი, პერი, ტარიკო, ნილსენი (იანგი 85), კლემენსი, შერვუდი, ჟინოლა, ივერსენი, კ. არმსტრონგი
გაფრთხილება: ტეილორი, ივერსენი
მსაჯი: ბარბერი

### ჩელსი 3:0 შეფილდ უენსდი

1:0 უაიზი (31), 2:0 ფლო (34), 3:0 მორისი (83)
ჩელსი: დე გუი, ლამბური, ტომე, ლებეფი, ბაბაიარო, პეტრესკუ, დეშამპი (უაიზი 22), დი მატეო, ამბროზეტი (მორისი 81), პოიეტი, ფლო (ძოლა 81)
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, უოლკერი, აზერტონი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, იონკი, სონერი (ჰასლამი 61), ბრისკო (სიბონი 61), დე ბილდე, ბუტი (კროსველი 70)
გაფრთხილება: ლებეფი, ბუტი, ალექსანდერსონი
მსაჯი: დურსო

### არსენალი 2:0 ლიდსი

1:0 ლიუნგბერგი (32), 2:0 ანრი (58)
არსენალი: სიმენი, ლუჟნი, გრიმანდი, ადამსი, სილვინიო, ლიუნგბერგი, ვიეირა, პეტი (უინტერბერნი 88), ოვერმარსი, კანუ, ანრი (შუკერი 74)
ლიდსი: მარტინი, ა. კელი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ბაკე, მაკფაილი, კიუელი, ბოუერი (ჯონსი 79), ბრიჯესი, ა. სმიტი (უილკოქსი 79)
გაფრთხილება: ლიუნგბერგი, ოვერმარსი, კანუ, სმიტი, კიუელი, ბრიჯესი, კელი
მსაჯი: პოლი

### ბრედფორდი 0:0 ევერტონი

ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, მიერსი (ბიგრი 63), უინდასი (ბლეიქი 74), მაკკოლი, რედფერნი, შარპი, მილსი, სონდერსი
ევერტონი: ჟერარდი, დანი, ვეირი, გუგი, ანსუორთი, ბარმბი, ჰათჩისონი, კოლინზი (კლილენდი 52, ჯემილი 74), პემბრიჯი, ჯეფერსი, მაქსმური (კადამარტერი 76)
გაფრთხილება: ვეზეროლი, რედფერნი, მაკკოლი, ჰაჩისონი, კადამარტერი
მსაჯი: რენიე

### ლესტერი 1:2 ნიუკასლი

0:1 ფერგიუსონი (21), 0:2 შირერი (53), 1:2 ზაგორაკისი (83)
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, სევიჯი, ტაგარტი, ჯილკრისტი, ელიოტი, იზეტი (კ. კემპბელი 32), ზაგორაკისი, ედი, ჰესკი, კოტი (ტომასი 60)
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, მარსელინიო, დაბიზასი, პისტონე, სპიდი, სოლანო, გალაჰერი, ლი, შირერი, დ. ფერგიუსონი
გაფრთხილება: ტაგარტი, სევიჯი
მსაჯი: დარკინი

### ლივერპული 3:1 უიმბლდონი

1:0 ოუენი (58), 1:1 გეილი (64), 2:1 ბერგერი (6?), 3:1 ფაულერი (80)
ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, ენჩოსი, ჰიიპია, ჰეგემი, ბერგერი, კარაგერი, მერფი (ფაულერი 59), ჯერარდი, ოუენი (შმიცერი 65), კამარა (სონგი 90)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი (კორტი 33), ტეტჩერი, ბადირი (ფრანცისი 76), ერლი, ლებერნი (ანდრესენი 65), ანდერსენი, ჰრეიდარსონი, იუელი, გეილი
გაფრთხილება: იუელი
მსაჯი: ბარი

### უოტფორდი 3:2 საუთჰემპტონი

1:0 პერპეტუინი (17), 2:0 გრაველენი (31), 2:1 ბოა მორტე (61), 2:2 დევისი (63), 3:2 გრაველენი (65)
უოტფორდი: ჩემბერლენი, კოქსი, პალმერი, პეიჯი, რობინსონი, გუდმუნდსონი (გიბსი 84), ჰიდი, ჯონსონი, პერპეტუინი, ნგონგე (ფოლი 67), გრაველენი (მ. სმიტი 78)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ტესემი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბენალი, ბოა მორტე, სოლტვედტი, ჰიუზი (ბიტი 76), დოდი, დევისი, ლე ტისიე (რიპლი 43, კაჩლული 82)
გაფრთხილება: პერპეტუინი, გრაველენი, რობინსონი, სმიტი, ჰიდი, დევისი, ჰიუზი, რიჩარდსი
მსაჯი: რაილი

# ფეხბურთი ნაბახუსევზე



REUTERS ბრედფორდიდან

ბრედფორდი — ჩელსი 1:1. ლონდონელი დან პეტრესკუ (მარცხნივ) და ბრედფორდელი ენდი მიერსი ბურთისთვის იბრძვიან

### ვესტ ჰემი 1:1 დერბი ქაუნთი

0:1 სტარიჯი (4), 1:1 დი კანიო (21)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, რ. ფერდინანდი, მარგასი, ფოე, ლამპარდი, ჯ. კოული, ტ. სინკლერი, მინტო (კელერი 59), ვანჩოპე, დი კანიო
დერბი ქაუნთი: პოომი, კარბონარი, პაუელი, ჯონსონი, სტარიჯი, ბოჰინენი, ლაურსენი, პრიორი, ელიოტი, რობინსონი (ბეკი 82), ბარლი
გაფრთხილება: ფერდინანდი, სინკლერი, ბარლი, პრიორი, სტარიჯი, ლაურსენი
მსაჯი: უილი

### სანდერლენდი 2:2 მანჩესტერი

1:0 მაკკანი (2), 2:0 ქუინი (13), 2:1 კინი (27), 2:2 ბათი (86)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბატლერი, ბოულდი, გრეი, სამერბი, რაე (უილიამსი 61), მაკკანი, შვარცი, კილბეინი (რიდი 89), ნ. ქუინი
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი (შერინგემი 77), ბექემი (სოლსკიაერი 84), ბათი, როი კინი, გიგზი, იორკი, ე. კოული (ფ. ნევილი 87)
გაფრთხილება: რაე, მაკინი, შვარცი, სტამი, გიგზი
მსაჯი: უინტერი

### მიდლსბრო — ქოვენთრი

გადაიდო

XXI ტური

### ქოვენთრი 2:2 ჩელსი

1:0 რუსელი (54), 1:1 ფლო (55), 2:1 კინი (81), 2:2 ფლო (82)
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი, უილიამსი, ბრინი, ფროგატი, ჩიპო, მაკალისტერი, პალმერი, მ. ჰაჯი, რუსელი (ველანი 87), რობი კინი
ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი, ტომე, ბაბაიარო, პოიეტი (პეტრესკუ 74), დეშამპი (მორისი 78), უაიზი, დი მატეო (სატონი 85), ფლო, ძოლა
გაფრთხილება: ჰაჯი, დი მატეო
მსაჯი: დარკინი

### დერბი ქაუნთი 2:0 უოტფორდი

1:0, 2:0 შტრუპარი (2, 72)
დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, კარბონარი, ელიოტი, დელაპი, ბარლი, პაუელი, ნიმნი (პრიორი 67), დორიგო (შნური 59), შტრუპარი, სტარიჯი (რობინსონი 26)
უოტფორდი: ჩემბერლენი, გიბსი, პეიჯი, პალმერი, რობინსონი, მილერი (ფოლი 73), ჰიდი, ჯონსონი, პერპეტუინი, გრაველენი, ნგონგე (მ. სმიტი 73)
გაფრთხილება: პაუელი, პეიჯი
მსაჯი: ნაითი

### ლიდსი 1:2 ასტონ ვილა

0:1 საუთგეიტი (19), 1:1 კიუელი (46), 1:2 საუთგეიტი (62)
ლიდსი: მარტინი, ა. კელი, დაბერი, ვუდგეიტი, ჰარტი, ჯონსი (უილკოქსი 76), ბაკე, ჰაალანდი, კიუელი, ა. სმიტი (ჰაკერბი 76), ბრიჯესი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, უოტსონი, მერსონი, ბოატენგი, სტოუნი, ა. რაიტი, ჯოაკიმი, კარბონე (ვასელი 80)
გაფრთხილება: დაბერი, ჰარტი, მერსონი, კარბონე, ბოატენგი, უოტსონი, ვასელი
მსაჯი: რენიე

### ნიუკასლი 2:2 ვესტ ჰემი

1:0 დაბიზასი (18), 2:0 სპიდი (65), 2:1 ლამპარდი (84), 2:2 შტიმაცი (88)
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, მარსელინიო, დაბიზასი, პისტონე, სოლანო, ლი (ანტუნესი 52), სპიდი, გალაჰერი (გლასი 75), შირერი, დ. ფერგიუსონი (ქეცბაია 78)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, რ. ფერდინანდი, შტიმაცი, მინტო, კარიკი, ფოე, ლამპარდი, კელერი (ბირნი 79), ჯ. კოული, ტ. სინკლერი
გაფრთხილება: პოტსი
მსაჯი: ჰარისი

### შეფილდ უენსდი 1:1 არსენალი

0:1 პეტი (40), 1:1 სიბონი (56)
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, იონკი, სონერი, ბრისკო (მაკკივერი 46), სიბონი (კროსველი 78), დე ბილდე
არსენალი: სიმენი, ლუჟნი, ადამსი, გრიმანდი, სილვინიო, ლიუნგბერგი, ვიეირა, პეტი, ოვერმარსი (უინტერბერნი 25), კანუ (შუკერი 71), ანრი
გაფრთხილება: ნოლანი, ლუჟნი
მსაჯი: რიდი

### საუთჰემპტონი 1:0 ბრედფორდი

1:0 დევისი (55)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ბრიჯი, რიპლი, ტესენი, მარსდენი, ბოა მორტე, დევისი, პახარსი
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე (ბლეიქი 59), ვეზეროლი, ობრაიენი, შარპი (მიერსი 46), ლოურენსი, უინდასი, მაკკოლი, ბიგრი, მილსი (რედფერნი 70), სონდერსი
მსაჯი: ელერეი

### ტოტენჰემი 1:0 ლივერპული

1:0 არმსტრონგი (23)
ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, ს. კემპბელი, პერი, ტარიკო, იანგი, შერვუდი, კლემენსი, ჟინოლა, ივერსენი, კ. არმსტრონგი
ლივერპული: ვესტერველდი, ჰეგემი, ჰიიპია, ენჩოსი, მატეო, კარაგერი (ტომპსონი 58), შმიცერი (სტონტონი 82), ჰამანი, ჯერარდი, ბერგერი (მერფი 73), კამარა
გაფრთხილება: კემპბელი, კლემენსი, პერი, შმიცერი, მატეო, კარაგერი, კამარა
მსაჯი: უილკი

### უიმბლდონი 1:0 სანდერლენდი

1:0 კორტი (30)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ტეტჩერი, ანდერსენი, ჰრეიდარსონი, ბადირი (ერდლი 66), ვილმოტი, ანდრესენი (ფრანცისი 87), იუელი, კორტი, გეილი
სანდერლენდი: მერიოტი, მაკინი (ოსტერი 73), ბოულდი, კილბეინი, ბატლერი, გრეი, სამერბი (უილიამსი 35), შვარცი, მაკკანი, ნ. ქუინი, ფილიპსი
გაფრთხილება: გეილი, ბადირი, ჰრეიდარსონი, ანდერსენი, მაკინი, ქუინი, მაკკანი
მსაჯი: პოლი

### ევერტონი 2:2 ლესტერი

1:0 ვეირი (15), 1:1, 1:2 ელიოტი (26, 31), 2:2 ანსუორთი (56პ)
ევერტონი: ჟერარდი, ანსუორთი, გუგი, უოტსონი, ვეირი, პემბრიჯი, ჰათჩისონი, კოლინზი, ბარმბი (ჯემილი 9), ჯეფერსი (მური 70), კ. კემპბელი
ლესტერი: ფლაუერსი (არპექსადი 8), ტაგარტი, უოლში, სინკლერი, სევიჯი, ლენონი (ტომასი 90), ზაგორაკისი (მ. კემპბელი 79), ოუქსი, ედი, ელიოტი
გაფრთხილება: უოტსონი, პემბრიჯი, სინკლერი
მსაჯი: უინტერი

### მანჩესტერი — მიდლსბრო

გადაიდო

გამოტოვებული მატჩი

### ბრედფორდი 1:1 ჩელსი

1:0 მილსი (1), 1:1 პეტრესკუ (58)
ბრედფორდი: კლარკი, მიერსი, მაკკოლი, ვეზეროლი, ბლეიქი, მილსი, ობრაიენი, უინდასი (ბიგრი 62), ჰალე, რედფერნი, სონდერსი
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო, დეშამპი, ფერერი, ტომმე, ტერი, უაიზი (დი მატეო 57), პოიეტი (მორისი 84), სატონი (ძოლა 68), ფლო
მსაჯი: უილი

**პრემიერლიგის** ლიდერისთვის ახალი წელი უიღბლოდ დაიწყო. „ლიდსი“ შინ „ასტონ ვილასთან“ დამარცხდა. სტუმართა მწვრთნელი ჯონ გრეგორი თამაშს ტრიბუნიდან უცქერდა, რადგან ულირსი საქციელის გამო კუთვნილ ადგილზე ჯდომის უფლება დროებით ჩამორთმეული აქვს. გრეგორის ამის გამო დიდად არ უნაღვლია, მისმა ფეხბურთელებმა თავი არ შეირცხვინეს. მატჩის გმირი გარეთ საუთგეიტი გახდა. ინგლისის ნაკრების მცველმა მე-19 წუთზე ახლოდან დარტყმით გახსნა ანგარიში და ტაიმიც ასე დასრულდა. შესვენების შემდეგ 15 წამი იყო გასული, როდესაც ლიდსელთა ავსტრალიელმა ნახევარმცველმა ჰარი კიუელმა წონასწორობა აღადგინა. „ასტონ ვილას“ და საუთგეიტს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ. ამ უკანასკნელმა საჯარიმო დარტყმით მეორეც შეაგდო. სტუმრებს კიდევ შეეძლოთ გატანა — მერსონის და ბოატენგის მიერ დარტყმული ბურთების მოგერიება ნაიჯელ მარტინს დიდი წვალებით მოუხდა. მიმდინარე სეზონში „ლიდსმა“ შინ მეორედ წააგო. ახლა იგი „მანჩესტერს“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს, თუმცა ორი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. „მანჩესტერი“ პოტენციური ლიდერია და ბრაზილიაში წარუმატებელი თამაშის შემდეგ შეუძლია თავი ამით დაიმშვიდოს.

„სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ შეკრებილი გულშემატკივრებისთვის „ვესტ ჰემთან“ მატჩის ბოლო ექვსი წუთი კოშმარად იქცა. ნიკოს დაბიზასის და გერი სპიდის გოლებით „ნიუკასლმა“ უპირატესობა მოიპოვა. შეხვედრის მიწურულს კი ფრენკ ლამპარდმა და იგორ შტიმაჩმა თავიანთი გუნდის სახელწოდება გაამართლეს და მასპინძლებს თავში ჩაქუჩი ჩაარტყეს.

ფრეს დასჯერდა „არსენალიც“. ემანუილ პეტის გოლის შემდეგ ლონდონელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მით უმეტეს, რომ აუტსაიდერ „შეფილდს“ ხვდებოდნენ. 56-ე წუთზე ჯერალდ სიბონი სტუმართა მცველებმა უმეთვალყურეოდ დატოვეს. იან ნოლანმა თანაგუნდელი შეამჩნია და საგოლე პასიც ჩააწოდა. დარჩენილ დროში „მეთოფეთა“ ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა.

ამბობენ, ჯანლუკა ვიალის და „ჩელსის“ გზები გაიყრებაო. ასეა თუ ისე, „ქოვენთრისთან“ მატჩის დროს თავზოტორა იტალიელმა გვარიანად ინერვიულა. ლონდონელთა გუნდი ორჯერ აღმოჩნდა მდევრის როლში და სირცხვილისგან ტორე ანდრე ფლოს ორმა გოლმა იხსნა. ჯანფრანკო ძოლას დამსახურებაზეც უნდა ითქვას. „ჩელსის“ პირველი გოლი ჩია იტალიელის ბრწყინვალე გარღვევის შედეგი იყო და ფლოს მხოლოდ ბურთისთვის ფეხის მირტყმა დასჭირდა.

ვინ შეაგდო პრემიერლიგაში პირველი გოლი 2000 წელს? „დერბიში“ ახლახან გადაბარგებულმა ბრანკო შტრუპარმა. მან მატჩის დაწყებიდან 70-ე წამზე გაიტანა ბურთი და შემდეგ მეორეც მიაყოლა. 3 მილიონ გირვანქად ნაყიდმა ფეხბურთელმა „დერბის“ „უოტფორდთან“ მატჩში ნანატრი გამარჯვება მოუტანა.

**გიორგი დარჯანია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლიდსი | 21 | 14 | 2 | 5 | 35:24 | 11 | 44 | 11 | 8 | 1 | 2 | 17:9 | 8 | 25 | 10 | 6 | 1 | 3 | 18:15 | 3 | 19 |
| 2 მანჩესტერი | 19 | 13 | 4 | 2 | 50:25 | 25 | 43 | 10 | 8 | 2 | 0 | 33:7 | 26 | 26 | 9 | 5 | 2 | 2 | 17:18 | -1 | 17 |
| 3 არსენალი | 21 | 12 | 4 | 5 | 37:21 | 16 | 40 | 11 | 8 | 2 | 1 | 23:8 | 15 | 26 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:13 | 1 | 14 |
| 4 სანდერლენდი | 21 | 11 | 5 | 5 | 35:25 | 10 | 38 | 11 | 7 | 3 | 1 | 18:8 | 10 | 24 | 10 | 4 | 2 | 4 | 17:17 | 0 | 14 |
| 5 ლივერპული | 21 | 11 | 4 | 6 | 31:18 | 13 | 37 | 11 | 8 | 0 | 3 | 20:8 | 12 | 24 | 10 | 3 | 4 | 3 | 11:10 | 1 | 13 |
| 6 ტოტენჰემი | 20 | 10 | 4 | 6 | 32:23 | 9 | 34 | 10 | 7 | 1 | 2 | 22:12 | 10 | 22 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:11 | -1 | 12 |
| 7 ჩელსი | 20 | 9 | 5 | 6 | 29:21 | 8 | 32 | 9 | 6 | 1 | 2 | 17:5 | 12 | 19 | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | -4 | 13 |
| 8 ლესტერი | 21 | 9 | 3 | 9 | 30:30 | 0 | 30 | 11 | 6 | 2 | 3 | 17:13 | 4 | 20 | 10 | 3 | 1 | 6 | 13:17 | -4 | 10 |
| 9 ევერტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 35:30 | 5 | 29 | 10 | 4 | 6 | 0 | 23:10 | 13 | 18 | 11 | 3 | 2 | 6 | 12:20 | -8 | 11 |
| 10 ასტონ ვილა | 21 | 8 | 5 | 8 | 21:22 | -1 | 29 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 16 | 11 | 4 | 1 | 6 | 10:15 | -5 | 13 |
| 11 ვესტ ჰემი | 20 | 7 | 7 | 6 | 24:23 | 1 | 28 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:11 | 4 | 20 | 11 | 1 | 5 | 5 | 9:12 | -3 | 8 |
| 12 მიდლსბრო | 19 | 8 | 3 | 8 | 23:26 | -3 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:16 | -4 | 10 |
| 13 ქოვენთრი | 20 | 6 | 7 | 7 | 28:24 | 4 | 25 | 11 | 6 | 1 | 4 | 22:14 | 8 | 19 | 9 | 0 | 6 | 3 | 6:10 | -4 | 6 |
| 14 უიმბლდონი | 21 | 5 | 10 | 6 | 32:35 | -3 | 25 | 11 | 4 | 5 | 2 | 20:13 | 7 | 17 | 10 | 1 | 5 | 4 | 12:22 | -10 | 8 |
| 15 ნიუკასლი | 21 | 6 | 6 | 9 | 34:37 | -3 | 24 | 10 | 4 | 4 | 2 | 23:13 | 10 | 16 | 11 | 2 | 2 | 7 | 11:24 | -13 | 8 |
| 16 საუთჰემპტონი | 20 | 5 | 5 | 10 | 24:32 | -8 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 12:19 | -7 | 8 |
| 17 დერბი ქაუნთი | 21 | 5 | 4 | 12 | 19:32 | -13 | 19 | 11 | 3 | 0 | 8 | 9:18 | -9 | 9 | 10 | 2 | 4 | 4 | 10:14 | -4 | 10 |
| 18 ბრედფორდი | 21 | 4 | 6 | 11 | 16:31 | -15 | 18 | 10 | 2 | 6 | 2 | 10:13 | -3 | 12 | 11 | 2 | 0 | 9 | 6:18 | -12 | 6 |
| 19 უოტფორდი | 21 | 4 | 2 | 15 | 17:44 | -27 | 14 | 10 | 3 | 1 | 6 | 13:18 | -5 | 10 | 11 | 1 | 1 | 9 | 4:26 | -22 | 4 |
| 20 შეფილდ უენსდი | 20 | 2 | 4 | 14 | 17:46 | -29 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:12 | -1 | 9 | 11 | 0 | 1 | 10 | 6:34 | -28 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 14 |
| კოული (მანჩესტერი) | 13 |
| ბრიჯესი (ლიდსი) | 11 |
| იორკი (მანჩესტერი) | 11 |

XXII ტური

12 იანვარი
[illegible]ლსი — ტოტენჰემი
[illegible] იანვარი
არსენალი — სანდერლენდი
ჩელსი — ლესტერი
ქოვენთრი — უიმბლდონი
ევერტონი — ტოტენჰემი
ლიდსი — მანჩესტერი
მიდლსბრო — დერბი
შეფილდი — ბრედფორდი
უოტფორდი — ლივერპული
ვესტ ჰემი — ასტონ ვილა
16 იანვარი
ნიუკასლი — საუთჰემპტონი

# რა მოხდა იტალიაში?

## იტალია

### XV ტური

**ვენეცია 2:0 ლაციო**

1:0 განცი (18), 2:0 მანიერო (56)
ვენეცია: კონსელი, კარნაშალი, კარდონე, ლუპი, დალ კანტო, ვალტოლინა, ვოლპი, იაკინი (ნანამი 45), ბერგი, მანიერო, განცი (ბუდანი 82)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი (სერჟიო კონსეისაო 54), დ. სტანკოვიჩი, სენსინი, ნედვედი, ვერონი, რ. მანჩინი (სალასი 19), რავანელი
გაფრთხილება: მანიერო, კარნაშალი, ლუპი, სალასი
მსაჯი: ფარინა

**უდინეზე 0:1 პარმა**

0:1 დი ვაიო (53)
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, სოტილი, გარგო, ბისგაარდი (მაურო ესპოზიტო 83), ჯანიკედა, ფიორე, მარჯიოტა (სოსა 64), იორგენსენი (აპია 71), მუცი, პოჯი
პარმა: ბუფონი, სერენა, ტორიზი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, დაბო, ვანოლი, დი ვაიო (ბენარივო 85), კრესპო (ლონგო 59), ამოროზო (სტანიჩი 83)
გაფრთხილება: სოსა, სოტილი
გაძევება: ლონგო (85)
მსაჯი: ტრენტალანჯე

**რომა 3:1 ბარი**

1:0 მონტელა (3), 1:1 კასანო (5), 2:1, 3:1 მონტელა (32, 60პ)
რომა: ანტონიოლი, რინალდი, ალდაირი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, კ. ძანეტი, კანდელა, ალენიჩევი (დი ფრანჩესკო 77), მონტელა (ბარტელტი 85), დელვეკიო
ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა, გარსია, ინოჩენტი, ნექროიზი, მ. მარკოლინი, მარკიჩი (ჯორჯეტი 46), დ. ანდერსონი, დელ გროსო (პეროტა 46), ენინაია (ფერარი 62), კასანო
გაფრთხილება: ძაგო, რინალდი, ძანეტი, ნექროიზი, მარკოლინი
გაძევება: ნექროიზი (58)
მსაჯი: როსეტი

**რეჯინა 2:1 ტორინო**

1:0 კალონი (9), 1:1 კალაიო (56), 2:1 კალონი (90პ)
რეჯინა: ბელარდი, ჯიაკეტა, ჩირილო, სტოვინი, ფოლიო, ბერნინი (მარტინო 83), პრალია, მორაბიტო, პირლო (რეგი 63), კალონი, პოსანცინი (კოცა 63)
ტორინო: ბუჩი, მ. ბონომი, გრანდონი, მალტალიატი, ტრიკარიკო, პეკია (კალაიო 49, გალანტე 74), ბრამბილა, სკარჩილი, მენდესი (კრიპა 85), ფერანტე, ლენტინი
გაფრთხილება: ბრამბილა, მენდესი, კალონი, რეგი
გაძევება: ტრიკარიკო (73), ჯიაკეტა (74)
მსაჯი: ბერტინი

**პიაჩენცა 0:1 მილანი**

0:1 ბირჰოფი (33)
პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, საკეტი (ჯილარდინო 14), ბუზო (გაუტიერი 74), კრისტალინი, სტროპა, მანიგეტი, პიოვანი, რიციტელი
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, დე აშენტისი, ალბერტინი, გულიელმინპიეტრო, ლეონარდო (ამბროზინი 35), ბირჰოფი (აიალა 92), შევჩენკო (ხოსე მარი 69)
გაფრთხილება: ვერხოვოდი, პიოვანი, ბუზო, პოლონია, გულიელმინპიეტრო, ამბროზინი, დე აშენტისი, მანიგეტი
გაძევება: ალბერტინი (29)
მსაჯი: ტომბოლინი

**ლეჩე 0:0 ფიორენტინა**

ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიკიო (ს. ბონომი 70), ლიმა (ბილოტი 39), პიანჯერელი, ტრავერსა (კოლონელო 78), სესა, კ. ლუკარელი
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ფირიკანო, პიერინი, დი ლივიო (როსიტო 81), კოისი, კ. ამორუზო (ადანი 79), ჰაინრიხი, ოკონი, ბატისტუტა, ბალბო
გაფრთხილება: პიანჯერელი, კოისი, ჰაინრიხი, ფირიკანო, პიერინი
მსაჯი: პელეგრინო

**იუვენტუსი 1:0 ვერონა**

1:0 ინძაგი (46)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, იულიანო, კონტე (პესოტო 76), ტაკინარდი, დავიდსი, ძამბროტა (ბირინდელი 83), ზიდანი, ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 85), დელ პიერო
ვერონა: ფრეი, ფილიპინი (დიანა 76), აპოლონი, ფრანჩესკეტი, ფალსინი, ბროკი, კოლუჩი, მარასკო, მელისი, ადაილტონი (კამარატა 62), ალიეტი
გაფრთხილება: ტაკინარდი, აპოლონი, კოლუჩი
მსაჯი: ბონფრისკო

**ინტერი 5:0 პერუჯა**

1:0 გეორგატოსი (17), 2:0 ზეედორფი (44), 3:0 ვიერი (57), 4:0 იუგოვიჩი (63), 5:0 ილარიო (71ს.კ.)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, კოე, იუგოვიჩი, გეორგატოსი (დი ბიაჯო 66), ზეედორფი (მუტუ 82), ვიერი, სამორანო (რეკობა 73)
პერუჯა: მაცანტინი, მონაკო (ილარიო 67), კალორი, რიპა, ბა, ტედესკო, ოლივე (ბიზოლი 46), მილანეზე, ნაკატა (კაპიოლი 73), ნ. ამორუზო, რაპაიჩი
მსაჯი: როდომონტი

**ბოლონია 1:0 კალიარი**

1:0 ანდერსონი (28)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პარამატი, ბოზელი, ნერვო, ინგესონი, მაროკი, ზე ელიასი (ფონტოლანი 87), ტარანტინო, კ. ანდერსონი, ვენტოლა (სინიორი 68)
25-ე ტური. ბლექპული – კოლჩესტერი 1:1; ბრენტფორდი – სტოკი 0:1; როვერსი – კემბრიჯი 1:0; კარდიფი – პრესტონი 0:4; ჯილინგემი – რედინგი 2:2; ლუთონი – სკანთორპი 4:1; ნოტსი – ბარნლი 2:0; ოლდემი – ბორნმუთი 1:0; ოქსფორდი – უიგანი 1:2; რექსჰემი – ბრისტოლი 0:1; უიკომბი – ჩესტერფილდი 3:0; ბერი – მილუოლი 2:2

26-ე ტური. ბრისტოლი – კარდიფი 0:0; უიგანი – ოლდემი 0:1; ბორნმუთი – ნოტსი 1:1; ჩესტერფილდი – ბრენტფორდი 1:0; კოლჩესტერი – როვერსი 5:4; მილუოლი – უიკომბი 1:1; რედინგი – ბლექპული 1:1; სტოკი – ლუთონი 2:1

### მესამე დივიზიონი

23-ე ტური. ბარნეტი — ჰალიფაქსი 0:1; ჩესტერი — ლეიტონი 1:5; ექსეტერი — პეტერბრო 2:2; ჰალი — მენსფილდი 2:0; ლინკოლნი — ჰარტლპული 1:2; მაკლსფილდი — კარლაისლი 2:1; ნორთჰემპტონი — დარლინგტონი 0:3; როჩდეილი — შრიუსბერი 2:1; როტერჰემი — ბრაიტონი 1:3; სუონსი — პლიმუთი 1:0; ტორკი — საუთენდი 0:1; იორკი — ჩელტენემი 1:2

24-ე ტური. ბრაიტონი – ექსეტერი 4:2; კარლაისლი – ჩესტერი 4:1; ჩელტენემი – ლინკოლნი 0:2; ჰალიფაქსი – ნორთჰემპტონი 2:2; ჰარტლპული – როჩდეილი 3:2; ლეიტონი – ჰალი 0:0; მენსფილდი – ტორკი 4:3; პეტერბრო – სუონსი 2:3; პლიმუთი – მაკლსფილდი 3:2; შრიუსბერი – ბარნეტი 1:1; საუთენდი – როტერჰემი 1:2

26-ე ტური. ბარნეტი – საუთენდი 2:1; ჩესტერი – დარლინგტონი 1:2; ექსეტერი – ლეიტონი 1:3; ჰალი – პეტერბრო 2:3; მაკლსფილდი – ჩელტენემი 1:2; ნორთჰემპტონი – შრიუსბერი 3:0; როჩდეილი – ბრაიტონი 1:0; როტერჰემი – ჰალიფაქსი 0:1; სუონსი – ჰარტლპული 2:1; ტორკი – კარლაისლი 4:1; იორკი – მენსფილდი 0:1

### ასოციაციის თასი

III ეტაპის გადათამაშება

**ჯილინგემი 2:1დ.დ. (1:1) უოლსოლი**
1:0 ბარასი (38 ს.კ.), 1:1 ლარუსონი (44), 2:1 ჰოდჯი (100)

**ოქსფორდი 1:3 ნოტინგემი**
1:0 პაუელი (72), 1:1, 1:2 ბარტ-უილიამსი (81, 84 პ), 1:3 როჯერსი (89)

მეთექვსმეტედფინალი

**არსენალი 0:0 ლესტერი**

**მანჩესტერ სიტი 2:5 ლიდსი**
1:0 გოტერი (2), 1:1 ბაკე (8), 2:1 ბიშოპი (11), 2:2 სმიტი (21), 2:3 კიუელი (43), 2:4 ბოუერი (65), 2:5 კიუელი (89)

**ასტონ ვილა 1:0 საუთჰემპტონი**
1:0 საუთგეიტი (20)

**ჩარლტონი 1:0 ქუინზ პარკი**
1:0 მაკდონალდი (69)

**ქოვენთრი 3:0 ბარნლი**
1:0, 2:0 ჩიპო (11, 69), 3:0 ველანი (75)

**ევერტონი 2:0 ბირმინგემი**
1:0, 2:0 ანსუორთი (75პ, 90პ)

**ფულემი 3:0 უიმბლდონი**
1:0 უ. კოლინზი (22), 2:0 ფინანი (25), 3:0 უ. კოლინზი (77)

**გრიმსბი 0:2 ბოლტონი**
0:1 გუდიონსენი (33), 0:2 ჰანსენი (54)

**ნიუკასლი 4:1 შეფილდი**
1:0 შირერი (5), 1:1 სმიტი (17), 2:1 დაბიზასი (47), 3:1 დ. ფერგიუსონი (59), 4:1 გალაჰერი (69)

**პლიმუთი 0:3 პრესტონი**
0:1 ოსალივანი (39ს.კ.), 0:2 ალექსანდერი (60პ), 0:3 ბესვეტერიკი (77ს.კ.)

**შეფილდ უენსდი 1:1 ვულვზი**
1:0 ალექსანდერსონი (9), 1:1 პოლეტი (68)

**ტრანმერი 1:0 სანდერლენდი**
1:0 ალისონი (25)

**რექსჰემი 1:2 კემბრიჯი**
0:1 ბენჯამენი (15), 1:1 კონოლი (44), 1:2 ბატლერი (52)

**ლივერპული — ბლექბერნი**
ნუხელ გვიან გაიმართა

**ჯილინგემი — ბრედფორდი**

**ჩელსი — ნოტინგემი**
გადაიდო

### მერვედფინალის წილისყრა

ჯილინგემი ან ბრედფორდი — შეფილდ უენსდი ან ვულვერჰემპტონი; ევერტონი — პრესტონი; ლივერპული ან ბლექბერნი — ნიუკასლი; ქოვენთრი — ჩარლტონი; კემბრიჯი — ბოლტონი; ასტონ ვილა — ლიდსი; ფულემი — ტრანმერი; ჩელსი ან ნოტინგემი — არსენალი ან ლესტერი

*მატჩები გაიმართება 29-30 იანვარს*

## საფრანგეთი

ლიგის თასი

I ეტაპი

**სენტ ეტიენი 3:1 ნანტი**
1:0 პედრონი (10), 1:1 პოტილონი (11 ს.კ.), 2:1 ალექსი (21), 3:1 რაველე (37)

**გინგამი 1:3 მონპელიე**
0:1 იოზდიჩი (10), 1:1 ტასფაუ (19პ), 1:2 ფუჟიე (57), 1:3 დელიე (66)

**ნიცა 0:1 სედანი**
0:1 უარდი (22)

**ბასტია 3:0 მარსელი**
1:0 ლაშუერი (56), 2:0 იურიეტი (62), 3:0 ანდრე (72)

**ტრუა 0:1დ.დ. (0:0) ბორდო**
0:1 ლევგინსკი (109)

**რედ სტარი 4:2დ.დ. (2:2) ნიმი**
1:0 დუკანტი (50), 1:1, 1:2 პაგისი (64, 85), 2:2 აკიანა (89), 3:2, 4:2 მილტონი (95, 117)

**ლიონი 3:1 ამენი**
1:0, 2:0 ანდერსონი (16, 57), 3:0 ვერელი (62 პ), 3:1 რივენე (85)

**პსჟ 4:3 კრეტეი**
0:1 ჰისტილლოლსი (14), 1:1 რობერი (19), 1:2 ჰისტილლოლსი (33), 2:2 რობერი (45 პ), 3:2 რაბე[illegible]დრატანა (64), 4:2 ალუ სისე (70), [illegible]სტილლოლსი (87)

**ლუანი [illegible] ნანსი**
0:1 ბოტელინი (8)

**ნიორი 0:1 გენიონი**
0:1 როდა (55)

**სოშო 2:0 რენი**
1:0 დრობნიაკი (40), 2:0 დურიქსი (80)

**ტულუზი 3:2დ.დ. (2:2) ლანსი**
0:1 მორეირა (40), 0:2 დეზირე ჟობი (46), 1:2 პეტროვიჩი (50), 2:2 მორო (55), 3:2 პრუნიე (114)

**ლე მანი 1:1 (პენ. 5:6) შატორუ**
1:0 პიკე (11), 1:1 ჯეუქსი (65)

**ბოვე 1:1 (პენ. 5:4) ლე ავრი**
0:1 დებევი (61), 1:1 დე ფრიტასი (62)
ოსერი 0:0 (პენ.4:5) მონაკო

## საბერძნეთი

მე-13 ტური. არისი — პანილიაკოსი 2:1; ქსანტი — ეთნიკოსი 0:0; ტრიკალა — აპოლონი 1:0; პაოკ — პროდეფტიკი 1:0; აეკ — პანიონიოსი 0:1; პანათინაიკოსი — პანაჰაიკი 7:1; ოფი — ირაკლისი 1:1; იონიკოსი — ოლიმპიაკოსი 1:2; კალამატა — კავალა 3:2

მე-14 ტური. ოლიმპიაკოსი – არისი 2:0; პროდეფტიკი – პანათინაიკოსი 1:0; აპოლონი – აეკ 3:2; პანიონიოსი – პაოკ 1:1; ირაკლისი – ქსანტი 3:1; პანილიაკოსი – ოფი 1:2; იონიკოსი – კალამატა 0:1; კავალა – ტრიკალა 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 14 | 13 | 0 | 1 | 42:10 | 39 |
| პანათინაიკოსი | 14 | 11 | 2 | 1 | 37:11 | 35 |
| ოფი | 14 | 10 | 2 | 2 | 26:15 | 32 |
| პაოკ | 14 | 6 | 4 | 4 | 25:19 | 22 |
| არისი | 13 | 6 | 4 | 3 | 16:13 | 22 |
| პანიონიოსი | 14 | 7 | 1 | 6 | 26:30 | 22 |
| აეკ | 14 | 6 | 3 | 5 | 27:21 | 21 |
| ირაკლისი | 13 | 6 | 2 | 5 | 26:23 | 20 |
| პანილიაკოსი | 14 | 6 | 2 | 6 | 20:17 | 20 |
| ქსანტი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:17 | 15 |
| იონიკოსი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:19 | 15 |
| ეთნიკოსი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:20 | 14 |
| კალამატა | 14 | 3 | 4 | 7 | 14:27 | 13 |
| პანაჰაიკი | 13 | 3 | 3 | 7 | 14:22 | 12 |
| კავალა | 14 | 3 | 3 | 8 | 15:24 | 12 |
| პროდეფტიკი | 14 | 3 | 3 | 8 | 9:20 | 12 |
| აპოლონი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:19 | 10 |
| ტრიკალა | 14 | 2 | 3 | 9 | 11:29 | 9 |

## მათეუსი ამერიკას მარტში მიაშურებს

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ვეტერანი ფეხბურთელი ლოთარ მათეუსი თავის ახალ კლუბს — ამერიკულ „ნიუ იორკ—ნიუ ჯერსი მეტროსტარზს“ მარტში შეუერთდება. გუნდის ოფიციალური განცხადებით, ფეხბურთელი ვარჯიშს 10 მარტიდან დაიწყებს. მანამდე მათეუსს უფლება ეძლევა, „ბაიერნში“ ითამაშოს. „მეტროსტარზის“ გენერალურმა მდივანმა ჩარლი სტილიტანომ განაცხადა: „მთავარ მწვრთნელ ოქტავიო ზამბრანოსთან მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტე, რომ უკეთესია, მათეუსი გუნდს მარტში შეუერთდეს. მანამდე იგი „ბაიერნში“ რამდენიმე პრინციპულ შეხვედრას ჩაატარებს და ვფიქრობ, გერმანიას კარგი ფსიქოლოგიური განწყობით დატოვებს“.

გასული წელი მათეუსმა საკმაოდ წარმატებულად ჩაატარა. ჟურნალ „კიკერის“ მიერ იგი გერმანიის 1999 წლის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა, ხოლო „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციულ გამოკითხვაში მეათე გახლდათ.



## ფიდელ კასტრომ მარადონას კუბაში მკურნალობა შესთავაზა

არგენტინელი ფეხბურთის ვარსკვლავი და ქვეყნის საუკუნის სპორტსმენი დიეგო არმანდო მარადონა გულის მწვავე შეტევით ბუენოს აირესის კლინიკაში მოათავსეს. ოფიციალური ინფორმაციით, ფეხბურთელს სისხლში კოკაინი აღმოაჩნდა — ლეგენდარული არგენტინელი საავადმყოფოში ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზით მიღების გამო მოხვდა.

ექიმების განცხადებით, მარადონას სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე არ ემუქრება და მისი ჯანმრთელობა ნელნელა უმჯობესდება. კლინიკა „სანატორიო კანტეგრელის“ ექიმი, კარდიოთერაპევტი ფრენკ ტორიზი იუწყება, რომ ჰოსპიტალში მოთავსების მომენტში მარადონას მდგომარეობა საკმაოდ შემაშფოთებელი იყო, მაგრამ ახლა საფრთხემ გაიარა და სულ მალე ფეხბურთელი ინტერვიუს მიცემასაც მოახერხებს.

ურუგვაის პოლიცია მარადონას დაკითხვასაც აპირებს, რადგან, როგორც ცნობილია, იგი არდადეგებს სწორედ ურუგვაიში ატარებდა. გულმაც იქ ერთ-ერთ სასტუმროში შეუტია. იქაური პრესის ცნობით, კომაში ჩავარდნილი ფეხბურთელი ახალგაზრდა ექიმმა ხორხე რომერომ გადაარჩინა, რომელმაც ლეგენდარულ არგენტინელს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა.

ადგილობრივი ჟასმედია ამაოდ ეცადა რომეროსთან გასაუბრებას. მან ყოველგვარ კომენტარზე უარი განაცხადა.

მარადონას ავადმყოფობამ მთელი მსოფლიო შეაშფოთა. ურუგვაის ტელევიზია „CANAL 4“ იუწყება, რომ კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ დიეგოს მეუღლე კლაუდია ვილაფეინს ოფიციალური წინადადება გაუგზავნა, რათა ფეხბურთელმა სარეაბილიტაციო კურსი კუბის ერთ-ერთ კლინიკაში გაიაროს.

არგენტინაში კუბის საელჩოს პრესატაშის განცხადებით, ამის შესახებ არავითარი ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს, მათ ეს მხოლოდ ტელევიზიით შეიტყვეს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფიდელ კასტროს მარადონასთან ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებს და პოლიტიკოსის წინადადება გასაკვირი სრულიადაც არ იქნებოდა.

**ვაჟა ლომიძე**



REUTERS

დიეგო მარადონა (მარჯვნივ) სასწრაფო დახმარების მანქანაში

REUTERS ლისაბონიდან




ბენფიკა — სპორტინგი 0:0. სპორტინგელი აევუ მეტოქე მანიჩეს (№9) გაექცა

## პორტუგალია

XVI ტური

**ბოავიშტა 2:0 ალვერკა**

1:0 ერვინ სანჩესი (41), 2:0 ველი-ტონ სილვა (51)

**ჟილ ვისენტე 0:0 ბრაგა**

**ბენფიკა 0:0 სპორტინგი**

**სანტა კლარა 1:1 ლეირია**

0:1 ჟოაო მანუელი (22), 1:1 ელ იდრისი (85)

**ამადორა 0:2 პორტუ**

0:1, 0:2 ჟარდელი (80, 84)

**ფარენსე 2:2 კამპომაიორენსე**

1:0 მარინესკუ (24), 1:1 მიკი ლოპესი (37), 2:1 კარლოს კოშტა (42), 2:2 ლეალსონი (89)

**რიუ ავე 0:2 მარიტიმუ**

0:1 კარლოს მარიანო (6), 0:2 სუმუ-დიკა (66)

**სეტუბალი 0:2 ბელენენსეში**

0:1 ჟოაო ბრიტუ (58), 0:2 სება ფერნანდესი (90)

**სალგეირუში 0:1 გიმარაეში**

0:1 ჯერალდო ჟუნიორი (59)

„ბენფიკას" გერმანელმა მეკარემ, რობერტ ენკემ „სპორტინგთან" შეხვე-დრაში რამდენიმე ძნელადმოსაგერიე-ბელ დარტყმას გაართვა თავი და, შეი-ძლება ითქვას, ლისაბონური დერბი 0:0 რომ დამთავრდა მისი დამსახურებაა.

დერბი რის დერბია, შიგადაშიგ ვნე-ბათაღელვა არ მოჰყოლოდა — ბუნე-ბრივია, ორივე გუნდის ფეხბურთელე-ბის მიერ მიღებულ ყვითელ ბარათთა რაოდენობა საგრძნობლად აღემატე-ბოდა სახიფათო მომენტების რიცხვს. ყველაზე სახიფათო მომენტები კი, რო-გორც მიგანიშნეთ, სპორტინგელებისა იყო.

ლისაბონელების ნერვიულმა ფრემ ჩემპიონ „პორტუს", რომელმაც „ეშტ-რელა ამადორასთან" 2:0 მოიგო, ცხ-რილის სათავეში სამქულიანი უპირა-ტესობის მოპოვება შეაძლებინა. „ეშ-ტრელა ამადორას" კარში ორივე გო-ლი საუცხოო ფორმაში მყოფმა ბრა-ზილიელმა მარიო ჟარდელმა გაიტა-ნა. ჟარდელი დღეისათვის 23 გოლის ავტორია. ასეთი შედეგი ევროპაში არა-ვის აქვს.

„ბენფიკამ", რომელსაც მოედანზე სა-მი ახალწვეული ჰყავდა — ეგვიპტე-ლი გარემარბი აბდელ საბრი, ბერძენი მცველი ტრიანტაფილოს მახაირიდი-სი და ჩილელი ნახევარმცველი კრი-სტიან ურიბე — ხელსაყრელი მომე-ნტები სულ ერთი-ორი შექმნა. რაც შეეხება „სპორტინგის" საშობაო შე-ნაძენს, იტალიური „ტორინოსგან" ნა-ყიდ ბრაზილიელ მცველს ანდრე კრუზს, მას ენკემ მე-60 წუთზე ახ-ლოდან ზედიზედ ორჯერ დარტყმუ-ლი აუღო.

თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუ-თით ადრე ენკემ ერთხელაც გამოიჩი-ნა თავი, როდესაც არგენტინელი ნა-ხევარმცველის, ალდო დაშერის თა-ვური აკრობატულად მოიგერია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 16 | 11 | 4 | 1 | 35:8 | 37 |
| სპორტინგი | 16 | 10 | 4 | 2 | 26:14 | 34 |
| ბენფიკა | 16 | 9 | 4 | 3 | 23:12 | 31 |
| ბოავიშტა | 16 | 9 | 3 | 4 | 19:12 | 30 |
| მარიტიმუ | 16 | 8 | 4 | 4 | 22:14 | 28 |
| გიმარაეში | 16 | 8 | 4 | 4 | 25:18 | 28 |
| ბელენენსეში | 16 | 6 | 6 | 4 | 19:13 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 16 | 7 | 3 | 6 | 22:18 | 24 |
| ამადორა | 16 | 6 | 6 | 4 | 18:16 | 24 |
| ალვერკა | 16 | 6 | 2 | 8 | 17:22 | 20 |
| რიუ ავე | 16 | 4 | 5 | 7 | 18:25 | 17 |
| სალგეირუში | 16 | 5 | 2 | 9 | 13:21 | 17 |
| კამპომაიორენსე | 16 | 4 | 4 | 8 | 14:23 | 16 |
| სანტა კლარა | 16 | 3 | 6 | 7 | 19:24 | 15 |
| ბრაგა | 16 | 4 | 3 | 9 | 18:23 | 15 |
| ფარენსე | 16 | 2 | 7 | 7 | 11:30 | 13 |
| ლეირია | 16 | 2 | 5 | 9 | 13:23 | 11 |
| სეტუბალი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:28 | 10 |

## მარსელის ძიებანი

ფრანგული მარსელის „ოლიმპიკი" იტალიელი ლეგიონერი ფაბრი-ციო რავანელის რომის „ლაციოში" გაშვების შემდეგ შემცვლელ ფო-რვარდს ეძებს. მათ ოფიციალური წინადადებით იტალიურ „მილანში" მოასპარეზე ლიბერიელ თავდამსხმელ ჟორჟ ვეას მიმართეს. აღსანიშ-ნავია, რომ აფრიკელი მთელი 8 წლის განმავლობაში ასპარეზობდა საფ-რანგეთში, სადაც ჯერ „მონაკოს", ხოლო შემდეგ პსჟ-ს ღირსებას იცა-ვდა. „ოლიმპიკი" მეორე მილანური კლუბის, „ინტერის" ურუგვაელი ლეგიონერის, ალვარო რეკობის გადაბირებასაც ცდილობს. ახალგაზრდა ფორვარდმა გუნდს სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრე-ბა ვერა და ვერ მოახერხა, ამიტომ სავარაუდოა, რომ „ინტერმა" იგი სეზონის ბოლომდე „ოლიმპიკში" გაანათხოვროს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი
12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 001 ჩელსი-ტოტენჰემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 002 ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 003 კარლაისლი-უიგანი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. 21-ე ტური
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 004 პსჟ-ლიონი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 005 მეცი-ბორდო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 12 იანვარი | | | |
| 006 ლანსი-ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 007 სენტ ეტიენი-სედანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 008 რენი-სტრასბური | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 009 ტრუა-მონაკო | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 010 მონპელიე-ნანტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 011 ბასტია-მარსელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 012 ლე ავრი-ოსერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

ბელგია. მე-18 ტური
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 013 მუსკრონი-ანდერლეხტი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 12 იანვარი | | | |
| 014 სენტ ტრუიდენი-ბრიუგე | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 015 გენკი-ვესტერლო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 016 მეხელენი-სტანდარდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 017 ჰარელბეკე-შარლერუა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 018 აალსტი-ბევერენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 019 ბეერსხოტი-ლიერსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 020 ლოკერენი-ლომელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 021 გენტი-გეელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

ინგლისი. თასის მე-4 ეტაპი
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 022 ჯილინგემი-ბრედფორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

ინგლისი. ლიგის თასის 1/4 ფინალი
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 023 ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 12 იანვარი | | | |
| 024 ლესტერი-ფულემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

ინგლისი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. I წრე
12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 025 ბოლტონი-ტრანმერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

იტალია. თასის 1/4 ფინალი. I წრე
12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 026 მილანი-ინტერი | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| 027 რომა-კალიარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 13 იანვარი | | | |
| 028 იუვენტუსი-ლაციო | 2,2 | 2,8 | 3,1 |

ესპანეთი. თასის II ეტაპი. II წრე
12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 029 სელტა-სპორტინგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 030 მალაგა-დეპორტივო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 031 ატლეტიკო-ლას პალმასი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 032 ვალენსია-ოსასუნა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 033 რასინგი-სარაგოსა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 034 რაიო ვალეკანო-ბილბაო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 035 ოვიედო-ლოგრონიესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 036 ესპანიოლი-ალბასეტე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 037 ბეტისი-მერიდა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 038 ეიბარი-ლეიდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 039 კომპოსტელა-ტენერიფე | 2,4 | 2,9 | 2,6 |

პორტუგალია. თასის 1/16 ფინალი
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 040 ფარენსე-ამადორა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 12 იანვარი | | | |
| 041 პორტუ-ბრაგა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 042 სპორტინგი-ლეირია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 043 სალგეირუში-კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |

მსოფლიოს ჩემპიონატი კლუბებს შორის
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 501 მანჩესტერი-მელბურნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 502 ნეკასა-ვასკუ და გამა | 6,5 | 3,2 | 1,5 |

კალათბურთი. NBA
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 801 ნიუ იორკი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 802 ვაშინგტონი-ტორონტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 803 მინესოტა-მაიამი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 804 გოლდენ სტეიტი-დალასი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 805 საკრამენტო-ჰიუსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 806 სიეტლი-ფინიქსი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 12 იანვარი | | | |
| 807 ბოსტონი-კლიპერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 808 შარლოტი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 809 ტორონტო-ორლანდო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 810 დეტროიტი-ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 811 ინდიანა-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 812 მილუოკი-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 813 დენვერი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 814 პორტლენდი-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 815 ვანკუვერი-ფინიქსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 13 იანვარი | | | |
| 816 ნიუ ჯერსი-კლიპერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 817 მინესოტა-ბოსტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 818 იუტა-მაიამი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 819 გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 820 საკრამენტო-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |

კალათბურთი. ევროლიგა. II ეტაპი. I ტური
12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 821 ბარსელონა (ესპანეთი)-თოფაში (თურქეთი) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 822 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ბუდუჩნოსტი (იუგოსლ.) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 823 ციბონა (ხორვატია)-ულქერი (თურქეთი) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 824 ფორტიტუდო (იტალია)-პივოვარნა (სლოვენია) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 13 იანვარი | | | |
| 825 ცსკა (რუსეთი)-ალბა (გერმანია) | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 826 ბენეტონი (იტალია)-ჟალგირისი (ლიტვა) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 827 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-შოლე (საფრანგეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 828 ოლიმპია (სლოვენია)-პაოკ (საბერძნეთი) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 829 რეალი (ესპანეთი)-ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 830 ვილერბანი (საფრანგეთი)-კახა ს.ფ. (ესპანეთი) | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 831 მაკაბი (ისრაელი)-პო ორტეზი (საფრანგეთი) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 832 ეფესი (თურქეთი)-ვარეზე (იტალია) | 1,25 | 12,0 | 3,1 |

ჰოკეი. NHL
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 833 ბოსტონი-ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 834 მონრეალი-დეტროიტი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 835 კაროლინა-ფილადელფია | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 836 ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 837 კოლორადო-ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 838 ედმონტონი-დალასი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 839 ლოს ანჯელესი-ოტავა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 840 სან ხოსე-სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 12 იანვარი | | | |
| 841 ატლანტა-ვაშინგტონი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 842 ფლორიდა-აილენდერსი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| 843 ჩიკაგო-ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 844 კალგარი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 845 ფინიქსი-პიტსბურგი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 846 ანაჰაიმი-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 13 იანვარი | | | |
| 847 ბოსტონი-ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 848 ტამპა ბეი-აილენდერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 849 დეტროიტი-ჩიკაგო | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| 850 ნეშვილი-ვანკუვერი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 851 კოლორადო-პიტსბურგი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 852 ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

ჰოკეი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II წრე
11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 853 მოდო (შვედეთი)-მეტალურგი (რუსეთი) | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 854 ჰელსინკი (ფინეთი)-ტურკუ (ფინეთი) | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 855 სლოვანი (სლოვაკეთი) -ლუგანო (შვეიცარია) | 1,45 | 4,4 | 3,2 |
| 856 ნიურნბერგი (გერმანია)-სპარტა (ჩეხეთი) | 1,7 | 4,4 | 2,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ჩემპიონს ჯიპი გადაუბრუნდა

**დოჰა. ყატარის ღია პირველობა. რიბაუნდ ეისი. საპრიზო 1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი:** **ნიკოლას კიფერი** (1, გერმანია) — სხენგ შალკენი (8, ჰოლანდია) 6:1, 6:0; **ფაბრის სანტორო** (3, საფრანგეთი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:2, 6:4; **იუნეს ელ აინაუი** (4, მაროკო) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 7:5, 6:3; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:2, 6:3

**ნახევარფინალი:** **სანტორო** — კიფერი 7:5, 6:4; **შუტლერი** — აინაუი 6:7 (3:7), 6:4, 6:4

**ფინალი:** **სანტორო** — შუტლერი 3:6, 7:5, 3:0 — ტრავმა

პრესტიჟული ტურნირის მოგებისა და 137 ათასი დოლარის ჩაჯიბვის გარდა ჩია ფაბრის სანტორომ ყატარში მესამე კურდღლის დაჭერაც მოახერხა — ჩოგბურთის ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი.

ახალ ათასწლეულს ATP ტური დიდი ამბიციებითა და განახლებული საკლასიფიკაციო სისტემით შეხვდა, რომელსაც ამიერიდან „საჩემპიონო რბოლა" ეწოდება. ძველი, რთული სისტემისგან განსხვავებით, ახალი კლასიფიკაცია უფრო ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატების ცხრილს წააგავს, მასში გასული 52 კვირის დამსახურებები აღარ აისახება და მხოლოდ მიმდინარე სეზონის წარმატების ნუსხისგან შედგება.

სწორედ ამიტომ ორშაბათს დოჰაში გამარჯვებით სანტორო „ახალი ეპოქის" პირველი პირველი ჩოგანი გახდა და 50 ქულით სახეცვლილ კლასიფიკაციასაც ჩაუდგა სათავეში. სამწუხაროდ, ფრანგი ATP ტურის მიმართ მადლიერების გამოჩენის ხასიათზე სულაც არ იყო, პირიქით, ახალი სისტემა მაშინვე გააკრიტიკა და პირველად დარჩენის დიდი სურვილიც არ გამოუთქვამს.

„ცოტათი ფეხი მტკივა და ალბათ სიდნეის ტურნირსაც გამოვტოვებ. მირჩევნია, საკუთარ სხეულს მოვუარო, ვიდრე სიის სათავეში დავმკვიდრდე" — განაცხადა სანტორომ, რომელიც დოჰაში 1998-ში ფინალისტიც გახლდათ.

ტანად მეტად პატარა ფრანგს ATP ტურზე ლამის ყველაზე სხარტი და ცბიერი ჩოგბურთელის რეპუტაცია აქვს. რაკიღა ფიზიკური მომზადებით თითქმის ვერავის სჯობნის, სანტორო თავისზე გაცილებით მაღალ და მძლავრ მეტოქეებს ათასგვარი მოჭრილი, შემოკლებული და მოულოდნელი დარტყმებით უბნევს თავგზას და მისი მონაწილეობით გამართული მატჩებიც ჭადრაკს უფრო ემსგავსება.

სწორედ ასე დაიბრიყვა სანტორომ ნახევარფინალსა და ფინალში ზედიზედ ორი გერმანელი — ტურნირზე პირველად განთესილი ნიკოლას კიფერი და შარშანდელი ჩემპიონი რაინერ შუტლერი, რომელთაც ფრანგის ოინებს ალღო ბოლომდე ვერ აუღეს.

თუმცა შუტლერის წარუმატებლობას ამასთან მეტად საპატიო გასამართლებელი მიზეზიც ჰქონდა. 23 წლის გერმანელი შარშან მსოფლიომ სწორედ ყატარში გაიცნო, სადაც კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილმა ჩოგბურთელმა ზედიზედ გორან ივანიშევიჩს, სედრიკ პიოლინს და ფინალში ტიმ ჰენმანს მოუგო.

შუტლერი წლეულსაც წარმატების იმედით ეწვია ცხელ აზიურ ქვეყანას, მაგრამ საკუთარი ტიტულის დაცვის მაგივრად კინაღამ თავი წააგო. ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ჯიპი, რომლითაც გერმანელი უდაბნოს ათვალიერებდა, ერთ-ერთი ქვიშის გორაკის თავზე გადატრიალდა და მეორე მხარეს გორებ-გორებით დაეშვა.

საბოლოოდ შუტლერი მხოლოდ დალურჯებული ადგილებითა და ნაკაწრებით გადარჩა, მისმა გელფრენდმა კი ნეკნი მოიტეხა. სწორედ ამის გამო ჩოგბურთელი მთელი ტურნირის მანძილზე იდაყვშეხვეული ასპარეზობდა და ფინალში გასვლაც მცირე სასწაულად მიიჩნია.

გადამწყვეტი მატჩისთვის კი გერმანელს ძალები მაინც აღარ ეყო და დაძაბული, ხანგრძლივი მეორე ხელის შემდეგ საბოლოოდ გამოიფიტა: „ეს მარტო დაღლილობის ბრალი არ იყო, მუცლის კუნთები და სხვა ბევრი რამ მაწუხებდა. იძულებული ვარ, ოკლენდში წასვლაზე უარი ვთქვა და ავსტრალიის ღია პირველობისთვის ხეირიანად მოვემზადო".



ლეიტონ ჰიუიტი



REUTERS ჰერტიდან

უეინ ფერერა



ფაბრის სანტორო არაბებმაც დააფასეს



REUTERS ჰონ კონგიდან

ჯენიფერ კაპრიატი

**ჩენაი. ინდოეთი. „გოლდ ფლეიქის" ღია პირველობა. ჰარდი. საპრიზო 430 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** **სედრიკ პიოლინი** (2, საფრანგეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 3:6, 6:4, 7:6 (7:3); **ჟერომ გოლმარი** (4, საფრანგეთი) — ჯემი დელგადო (ინგლისი) 6:3, 6:4; **მარტინ დამი** (ჩეხეთი) — ლორენცო მანტა (შვეიცარია) 6:4, 6:4; მარკუს ჰანჩკი (გერმანია) — ტუომას კეტოლა (ფინეთი) 5:7, 7:5, 6:2.

**ნახევარფინალი:** **ჰანჩკი** — პიოლინი 6:4, 3:6, 7:6 (7:5); **გოლმარი** — დამი 3:6, 6:3, 6:3.

**ფინალი:** **გოლმარი** — ჰანჩკი 6:3, 6:7 (6:8), 6:3

ახალ კლასიფიკაციაში მეორე ადგილიც ფრანგს უკავია — 26 წლის ჟერომ გოლმარმა ეს პატივი თითმის მილიარდიანი ინდოეთის ერთადერთი პროფესიონალურ ტურნირზე გამარჯვებით დაიმსახურა.

შარშანდელი სეზონი კიკინიანმა ფრანგმა ბრწყინვალედ დაიწყო, დუბაიში კარიერის პირველი ტიტული მოიპოვა, უამრავ ვარსკვლავს სიცოცხლე გაუმწარა და კლასიფიკაციაში 22-ე ადგილსაც შესწვდა. რომ არა აპრილში მიღებული უმძიმესი ტრავმა, ასეთ ტემპებში ცაცია გოლმარს საუკეთესო ათეულში შეღწევა და ვარსკვლავის სტატუსიც არ ასცდებოდა.

ასე კი ფრანგმა დარჩენილ 7 თვეში მხოლოდ ორი მატჩის გამართვა მოახერხა, ორი ოპერაცია გადაიტანა და არაკომპეტენტური თანამემამულე ექიმების მსხვერპლიც შეიქნა, რომლებიც კარგა ხანს ვერ მიხვდნენ, რომ ჩოგბურთელს გაფუჭებული კბილი უწამლავდა სისხლს.

ასეა თუ ისე, გოლმარის დაბრუნება ნამდვილად ტრიუმფალური გამოდგა: „მთელი ეს კვირა სიზმარს ჰგავდა, რადგან გასული რამდენიმე თვე ჩემთვის შავი, ბნელი ფერების იყო. მე ახლა თამაშს მოწყურებული ვარ, მეყო, რაც ცხოვრებაზე ვიფიქრე იმ დაუსრულებელი კვირეების განმავლობაში".

ფინალში ყველასათვის უცნობ გერმანელ მარკუს ჰანჩკთან გოლმარს ძალიან გაუჭირდა. ჰანჩკი აქამდე კლასიფიკაციაში 179-ე ადგილს არასოდეს გასცილებია და ATP ტურზე ზედიზედ ორი მატჩიც კი არ ჰქონდა მოგებული, მაგრამ ნერვიულობისა ბევრი არაფერი დასტყობია და გამოცდილ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობაც გაუწია.

უკანა ხაზზე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარე შეხვედრაში გადამწყვეტი სიტყვა გოლმარის ცაცია, მოუხერხებელმა მოწოდებამ თქვა და ორ საათნახევრიანი მატჩის ბოლოს მთავარი ჯილდოც მისი კერძი გახდა.

**ადელაიდა. ავსტრალიის ჩემპიონატი ჰარდზე. საპრიზო 350 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** **ტომას ენკვისტი** (1, შვედეთი) — სებასტიან გროსჟანი (7, საფრანგეთი) 7:6 (7:1), 7:5; **ნიკოლა ესკუდე** (8, საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) 6:3, 6:1; **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 6:1, 6:3.

**ნახევარფინალი:** **ენკვისტი** — ნორმანი 3:6, 6:2, 6:2; **ჰიუიტი** — ესკუდე 3:6, 6:1, 6:4.

**ფინალი:** **ჰიუიტი** — ენკვისტი 3:6, 6:3, 6:2.

18 წლის ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი ზედიზედ მესამედ ასპარეზობდა მშობლიური ქალაქის პირველობის ფინალში, ამათგან მეორედ იმარჯვა და შარშანდელი მარცხისთვის მსოფლიოს მეოთხე ჩოგან ტომას ენკვისტზე შურიც იძია, თუმცა თანამემამულეები მის წარმატებას ძველებური ენთუზიაზმით ნამდვილად აღარ შეხვდრიან.

საქმე ის, არის, რომ ახალგაზრდა და მეტად ნიჭიერ ჰიუიტს, რომელსაც დიდი მომავალს უწინასწარმეტყველებენ, კარგა ხანია, ვარსკვლავური ავადმყოფობა შეეყარა. ავსტრალიური პრესა აქამდე მოწყალე თვალით უყურებდა ჩოგბურთელის გამოხტომებს, თუმცა ადელაიდაში მათ მოთმინებასაც ბოლო მოეღო.

კრიტიკის ქარცეცხლი ჰიუიტს ოთხშაბათს, პირველი წრის შეხვედრაში თანაქალაქელისა და იუნიორების პერიოდის მეტოქის, დეჯან პეტროვიჩის 6:0, 6:2 განადგურების შემდეგ დაატყდა. ავსტრალიელები ჯერ იმან გააღიზიანა, რომ ჰიუიტმა დიდი დავა გამართა გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილების გამო, როცა ანგარიში ისეც 5:0 იყო მის სასარგებლოდ.

პრესკონფერენციაზე კი ლეიტონმა სულ აურია და მეტად განაწყენებული იერიც მიიღო, რაკიღა მაყურებლები მის მეტოქეს უფრო გულშემატკივრობდნენ: „ეს უცნაურია, მაგრამ ვფიქრობ, ავსტრალიური პუბლიკა თავისი სისულელით მუდმივად აუტსაიდერის მხარესაა და კარგ მოთამაშეს არასოდეს ქომაგობს. მე და გრეგ ნორმანი (ლეგენდარული მეგოლფე) ამ ტრადიციის მსხვერპლნი ვართ".

მეორე დილით თითქმის ყველა ავსტრალიური გაზეთი საპროტესტო სათაურებით გამოვიდა: „ვარსკვლავი თუ უბრალოდ გაფუჭებული ნაბიჭვარი"; „ჩვენ ვიცით, ვინც არის სულელი"; „ჯერ გაიზარდე და მერე ილაპარაკე" და ა.შ.

ჰიუტს იმსი გამოც მოხვდა, რომ თავი ნორმანს შეადარა: „ნორმანი თავისი 22-წლიანი კარიერით მსოფლიოს უდიდეს ცათამბრჯენსაც კი დაჩრდილავს, შენი მიღწევები კი გაზონის მთიბავის ქვევითაც კარგად მოთავსდება" — მიმართეს ჩოგბურთელს პოპულარული „ეიჯიდან".

მოკლედ, საზოგადოება მეტად აღშფოთდა და ავსტრალიელიც იძულებული გახდა ხუთშაბათსვე მოებოდიშებინა. მან პირველ რიგში ჟურნალისტები დაადანაშაულა, თავგზა ამიბნიესო, თუმცა მერე თავადაც აიღო პასუხისმგებლობა. „ყურადღების ცენტრში ყოფნა ძნელია, მე კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი. ავსტრალიელები ყოველთვის მქომაგობენ და მათი მხარდაჭერით მე მეტის მიღწევა შემიძლია. ისინი სულელები ნამდვილად არ არიან".

სრულ ამნისტიამდე ალბათ, ჯერაც შორეა, თუმცა თანაქალაქელთა უმეტესობამ ჰიუიტს უკვე შეუნდო და ფინალშიც მას გულშემატკივრობდა. ენკვისტის დამარცხების შემდეგ ლეიტონი შესანიშნავ ხასიათზე იყო: „სეზონი ბრწყინვალედ დავიწყე, ჩემი მიზანი წლეულს საუკეთესოთა ათეულში მოხვედრაა და ეს გამარჯვება თავდაჯერებასაც შემმატებს. ვფიქრობ, ავსტრალიის ღია პირველობაზე ბევრის გამწარება შემიძლია".

**პერტი. ავსტრალია. „ჰოპმანის თასი". ჰარდი. საპრიზო 900 ათასი $**

**ფინალი:** სამხრეთ აფრიკა 3:0 ტაილანდი **ამანდა კუტცერი** — ტამარინე ტანასუგარნი 3:6, 6:4, 6:4; **უეინ ფერერა** — პარადორნ სრიჩაპანი 7:6 (14:12), 6:3; **კუტცერი** და **ფერერა** — ტანასუგარნი და სრიჩაპანი 6:1.

„ჰოპმანის თასი", იგივე მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი შერეულ წყვილებში, აქ ზედიზედ მეხუთედ ერთად მოასპარეზე სამხრეთაფრიკულმა წყვილმა — უეინ ფერერამ და ამანდა კუტცერმა მოიგეს. ბუნებრივია, მათვე ერგოთ მთავარი პრიზიც: 100-100 ათასი დოლარი და ორი ბრილიანტებით მოჭედილი ჩოგბურთის ბურთიც, რომელთაგან თითოეულის ფასი 35 ათასია.

აი, ტურნირის ჭეშმარიტ გმირებად კი ტაილანდელები იქცნენ. გამოცდილმა ტამარინე ტანასუგარნმა და 20 წლის პარადორნ სრიჩაპანმა შესარჩევ ჯგუფში შარშანდელ და შარშანწინდელ ჩემპიონებს — ავსტრალიასა და სლოვაკეთს აჯობეს და შინ ლამის ეროვნული გმირის შარავანდედით დაბრუნდნენ.

წვრილთვალათა წყვილს თვით პრემიერ-მინისტრმა ჩუან ლეკპაიმ მიულოცა წარმატება და ქებით ცაში აიყვანა: „ეს ისტორიული მოვლენაა. მათ ტაილანდი ყურადღების ცენტრში მოაქციეს და შესანიშნავი მაგალითი მისცეს ჩვენს პატარებს".

**ჰონ კონგი. ჩინეთი. „ათასწლეულის თასი". ჰარდი. საჩვენებელი ტურნირი**

**ფინალი:** **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) 7:6 (7:3), 4:6 6:3

ყოფილმა თინეიჯერმა ფენომენმა, ერთ დროს ხელიდან წასულმა ჯენიფერ კაპრიატიმ ეტყობა მტკიცედ გადაწყვიტა ძველი დიდების დაბრუნება.

შარშან ამ დროს ჩასუქებული ჯენი საუკეთესოთა ასეულშიც კი არ იმყოფებოდა, მაგრამ გამოცდილი ჰაროლდ სოლომონის მწვრთნელად აყვანის შემდეგ წონაში დაიკლო, კუნთები დაიზარდა და წარმატებებმაც არ დააყოვნა.

ჰონკონგში საჩვენებელ ტურნირზე კაპრიატიმ ნახევარფინალში მარი პირსი დაამარცხა, ფინალში კი მას თვით მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი მიაყოლა.

„მძიმე შრომას ტყუილად არ ჩაუვლია. თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მარტინას კარიერაში პირველად მოვუგე და იმედია, ამას დიდი სლემის ტურნირზეც შევძლებ" — განაცხადა ამერიკელმა.

ჰინგისის კომენტარი მოკლე და მეტყველი იყო: „ჯობს აქ წავაგო, ვიდრე ავსტრალიაში. ეს ერთი კვირა ბევრი უნდა ვივარჯიშო".

**ავთანდილ სვანიძე**

# დახურეთ ფანჯარა!

## ვითა, მეტყობა, ძალიან დაიღალა



სტუ — შევარდენი 92:62. შევარდენელი თამაზ გიგაური სტუდენტ ვასილ ოთიურიძეს (ბურთით) სროლას არ ანებებს

**საქართველოს ჩემპიონატი. 12 ტური**

ვერის ბაღი. 9 იანვარი

### თსუ 111:81 სსუ

I ტაიმი 49:32

თსუ: ვეფხვაძე, წოწელია (7), მარკოიშვილი (20), არსიაშვილი (15), ვ. აბულაძე (9); მშვილდაძე (2), ხეცურიანი (8), გელაშვილი (12), მგალობლიშვილი (18), სანიკიძე (20)

სსუ: გ. ცეცხლაძე, ბ. ბერიშვილი (36), ლაცუზბაია (4), ლ. ვაშაკიძე (23), სორდია (8); ქვილითაია (5), ფენდერავა (5)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**საქართველოს ჩემპიონატი. 12 ტური**

ვერის ბაღი. 9 იანვარი

### სტუ 92:62 შევარდენი

I ტაიმი 38:29

სტუ: თორთლაძე (10), მოისწრაფიშვილი (8), ორმოცაძე (14), ჩუბინიძე (12), მინაშვილი (10); ტულუში (11), კორძაძე, მდივანი (4), სულაძე (6), ოთიურიძე (9), მიქაძე (8)

შევარდენი: მაჭავარიანი (6), აკოლაშვილი (24), შ. გაგნიძე (6), გიგაური (14), ნუცუბიძე (4); თაბუაშვილი, ალავიძე (2), მესხი (3), ორჯონიკიძე (3)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

**საქართველოს ჩემპიონატი. 12 ტური**

ვერის ბაღი. 9 იანვარი

### გორი — ბასკო

*გადაიდო*

ამ შეხვედრას ვინ ჩივის, მეორე წრის პირველივე ტურის გამართვაც კი ერთხანს სათუო ყოფილა. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზს, თურმე, საერთოდ აღარ მიეწოდებოდა ელექტროენერგია და ფედერაციასაც „ბასკოსთვის" შეუთვლია, ტყუილად მგზავრობა რომ არ გამოგივიდეთ, მანდ იყავით და მოგვიანებით შეგეხმიანებითო. შემდეგ დენის საქმე გამოსწორდა, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერი თბილისში ჩამოსვლას ველარ ასწრებდა და ეს მატჩიც ამიტომ გადაიდო. გაირკვა, რომ გუნდები 24 იანვარს, 14 საათზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**საქართველოს ჩემპიონატი. 12 ტური**

ვერის ბაღი. 10 იანვარი

### დინამო 57:80 მაკაბი

I ტაიმი 32:43

დინამო: მთვარაძე (2), ნიკოლაძე (18), ორდენიძე (10), ყველაშვილი (10), ზერეკიძე (8); ენდელაძე (3), ბათხაძე (6)

მაკაბი: დ. ბერიშვილი (18), დავარაშვილი (7), ტალაბაძე (15), ბ. ნოზაძე (13), ფერიაშვილი (15); კრიხელი (8), მჭედლიშვილი (4)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**საქართველოს ჩემპიონატი. 12 ტური**

ვერის ბაღი. 10 იანვარი

### სდასუ 91:79 ვითა

I ტაიმი 44:30

სდასუ: ხოშტარია (35), გ. ჩხეიძე (10), უძილაური (27), ლ. აბულაძე (8), მაჭარაძე (9); კობახიძე, ნ. ნოზაძე (2), სუხიშვილი

ვითა: უსტიაშვილი (2), ტურაშვილი (10), შანიძე (17), კოკოლიშვილი (21), ქევხიშვილი (3); ტ. ვაშაკიძე, გ. გაგნიძე (25), ახალკაცი (1)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**საქართველოს ჩემპიონატი. 12 ტური**

რუსთავი. 10 იანვარი

### აზოტი 116:66 ასკ

გიორგი ბიკაშვილი

ნაახალწლევს კარგი ვერაფერი დაებედა ჩვენს შეჭირვებულ კალათბურთს. რომ გავიძახდით, პირველი წრე ისე გავლიეთ, თამაში რაა, ისიც არ ჩაშლილ-გადადებულაო, ახლა ამითაც ველარ ვიტრაბახებთ. მეორე წრის სადებიუტო ტურშივე გადაიდო ერთი მატჩი: „გორი" — „ბასკო". კვირას გამართულ დანარჩენ შეხვედრათაგანაც ორივე მოსაწყენი გამოდგა და ჩაშლილი თამაშის გამო გაჩენილმა იძულებითმა ორსაათიანმა „ფანჯარამაც" ხომ სულ გააბეზრა ქეიფმოყირჭებული და კალათბურთმოწყურებული ქომაგობა.

ყოველივე ამის ფონზე გუშინდელი დღე, მით უფრო სდასუ — „ვითას" დაპირისპირება, მართლაც რომ დიდ ინტერესს იწვევდა. ასევე დიდი იყო მასმედიის ინტერესიც, რადგან ქართული სპორტის გამოზამთრებამდე ჟურნალისტებს კალათბურთიღა შეგვრჩენია ხელის მოსათბობად. ცენტრალურმა ტელევიზიამაც არც აცია, არც აცხელა და ზემოთ ნახსენები თამაშის პირდაპირი ტელეტრანსლაციით გაახარა კალათბურთის მაცქერალნი, რომელთა რიცხვიც ჩვენში გამეფებული ენერგოკრიზისის გამო ძალიან ცოტა თუ იქნებოდა. დრო იყო ეგეთი — „უგრაფიკო".

არა, მართლაც გმირობაა ამ პირობებში კალათბურთის თამაში. ცივა ვერის ბაღში და მერე როგორ (მიუხედავად იმისა, რომ გათბობა ჩართულია), იბუზებიან სპორტსმენები, უფრო მეტად მაყურებლები, ან კი ვის სცხელა...

სხვისი რა გითხრათ და, „ვითას" კი დასცხებოდა ნამატჩევს. სტუდენტურ სდასუ-სთან წაგება, ცხადია, ძალიან მტკივნეული იყო ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონისთვის, თუმცა ახლა კი არა, გაცილებით ადრე დაეწყო „ვითას" უსიამო ციებ-ცხელება, დღეს უბრალოდ ნაყოფს იმკის...

სად გაგონილა, გუნდი დღითი დღე სუსტდებოდეს და წარმატებას კი ძველებურად აღწევდეს. არც „ვითაა" გამონაკლისი, ისედაც განახევრებული შემადგენლობა კიდევ უფრო შეუსუსტდათ მწვრთნელებს და ხვალ-ზეგ რა იქნება, ვერც ამაზე გაგცემენ პასუხს. ქართული სატრანსფერო ბაზარის ბატონ-პატრონმა — „ბასკომ" სულ ახლახან კიდევ ერთი შენაძენი გააკეთა, „ვითას" ირაკლი ბაქრაძეც წაჰგვარა და სდასუ-ს წინაშეც, რა თქმა უნდა, უმისოდ წარსდგნენ ჩემპიონები. თავის მხრივ სტუდენტებს ჰეპატიტშეყრილი გიგი ნაცვლიშვილი აკლდათ. დანარჩენი ყველაფერი ძველებურად იყო, უმნიშვნელო წვრილმანებს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში.

დებიუტშივე ვითელი ქევხიშვილი ეუხეშა შოთა მაჭარაძეს, რომელმაც ორიდან ერთი პერსონალურის ჩაგდებით ამ მატჩში ანგარიში გახსნა. რამდენიმე წამში ისევ მაჭარაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში და კიდევ უფრო დააწინაურა თავისიანები. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ როგორც იქნა, ვიხილეთ ჩვეული მაჭარაძე, პირველ წრეში უფერული თამაშის შემდეგ შოთამ, როგორც ჩანს, სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქმეს და ეს გუშინაც თვალნათლივ გამოჩნდა. განსაკუთრებით პირველი ტაიმი მაქვს მხედველობაში, როცა სდასუ-ს ერთადერთი გამოკვეთილი ცენტრი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. მის მეურვე ლევან ქევრიშვილს კი თავიდანვე არ წაუვიდა თამაში, საწყის ორ-ნახევარ წუთში მსაჯებს სამი ჯარიმა დასტყუა და სულ მალე სათადარიგოებშიც აღმოჩნდა. მანამდე კი კოკოლიშვილის გარღვევისა და ტურაშვილის სამიანის შემდეგ „ვითა" ამ შეხვედრაში პირველად და უკანასკნელად დაწინაურდა — 5:3.

მოსეშვილის გაწვრთნილი სდასუ ძირითადად დაცვით თამაშზე იყო ორიენტირებული, ტურაშვილს ხოშტარია მეურვეობდა. კოკოლიშვილსა და უსტიაშვილს კი შესაბამისად ჩხეიძე და უძილაური ავიწროვებდნენ. ქევხიშვილის მოედნიდან გასვლის შემდეგ კი სდასუ ფარზეც სრულად გაბატონდა, რაც დრო და დრო ანგარიშზეც აისახა. უძილაურისა და აბელაძის სამიანებმა, ისევე როგორც ხოშტარიასა და იმავე უძილაურის გარღვევებმა, მიზანს უწიეს და თვალისდახამხამებაში „ვითა" ათი ქულით — 5:15 ჩამორჩა მეტოქეს.

კუთვნილი წუთშესვენებისას ვითელთა მთავარმა მწვრთნელმა გელა წულაძემ ტაქტიკური ვარირება მოახდინა და პერსონალურის ნაცვლად ზონური დაცვა შეაგება მომხვდურს. ამან მოგვიანებით გაამართლა, როცა „ვითამ" შეტევებშიც ტემპს უმატა. სტუდენტები უკან დაბრუნებას ველარ ასწრებდნენ, რამაც მეტოქეს ხელ-ფეხი გაუხსნა და კოკოლიშვილმა და შანიძემ უმალ ოთხ ქულამდე დაიყვანეს სხვაობა.

ამის მერე ისევ სდასუ-მ იფეთქა, მაჭარაძემ ქევხიშვილის შემცვლელი ახალკაციც დაჯაბნა, თანაგუნდელებიც უცებ გამოერკვნენ, სტუდენტებმა სამწუთიანი მონაკვეთი თერთმეტი ქულით მოიგეს და თხუთმეტით გაუსწრეს მოწინაალმდეგეს.

წულაძის მეორე წუთშესვენებამ კიდევ ერთ სიახლეს დაუდო საფუძველი. მწვრთნელმა ცენტრები საერთოდ მოხსნა თამაშიდან, მოედანზე გაგნიძე შეუშვა, რომელსაც სდასუ-ელთა ლიდერის, ირაკლი ხოშტარიას გაუვნებლება დააკისრა. შეტევებში კი წულაძემ გარედან თამაში მოსთხოვა შეგირდებს. ამ ექსპერიმენტის შემდეგ სხვაობა მუდამ რვა-ათ ქულამდე მერყეობდა, ტაიმიც ამგვარ სხვაობით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ხოშტარიამ და უძილაურმა ელემენტარული შეცდომებისთვის არ დაინდეს ეშხში შესული მეტოქე.

მეორე ნახევრის საწყისმა წუთებმა ორივე მხრიდან უამრავი ტექნიკური წუნი გამოაჩინა. ამას სდასუ-ელთა უხეშობაც დაერთო, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან ვერა და ვერ გაისწორეს სამიზნე ვითელებმა, რასაც მათივე ნერვიულობაც დაემატა. სხვაც რა უნდოდათ სტუდენტებს, გაილაღეს და თანაც როგორ, თითოეული ნააზრევი კომბინაცია თუ გამიზნულად ნამოქმედარი მათ სასურველ შედეგამდე მიჰყავდათ და მას შემდეგ, რაც ირაკლი ხოშტარიამ შორიდანაც დალაშქრა მეტოქის კალათი, სხვაობა კატასტროფული გახდა — 64:36 — წინ სდასუა.

ერთი შეხედვით ამ უიმედო მდგომარეობიდანაც კი ჩემპიონმა გამოსავალი იპოვა. ყოველივეს ხელი იმანაც შეუწყო, რომ სდასუ-მ საქმე უკვე მოთავებულად ჩათვალა და საგრძნობლად მოეშვა. ზედიზედ ორჯერ კოკოლიშვილმა ივარგა სამქულიანის ხაზის გარედან, გაგნიძემაც კარგად აუბა მხარი თანაგუნდელს და ხუთი წუთის წინანდელი უპირატესობიდან სდასუ-ს ათი ქულაღა შემორჩა. წინ კი მთელი შვიდი წუთი იყო.

მოსეშვილმა აღსაზრდელებს გამოფხიზლებისკენ მოუწოდა და ამის მერე თამაში გათანაბრდა, თუმცა ათ ქულიანი სხვაობა შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრეც ძალაში რჩებოდა — 80:70.

ჩემპიონმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და დარჩენილ დროში ისლა შეძლო, რომ ხუთ ქულამდე მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს, სულ მთლად გამოსცლოდათ ვითელთ არაქათი.

ფორმალობად ქცეული ბოლო წუთი კი წარმოუდგენლად გაიწელა. რადგან მდევრები მარცხს არ ეგუებოდნენ და მცირე იმედის ამარა დარჩენილნი განზრახ ჯარიმებით დროის მოგებას ცდილობდნენ...

„დინამო" — „მაკაბის" შეხვედრის შედეგი თავიდანვე ადვილი განსაჭვრეტი იყო. მართალია, „მაკაბს" ირაკლი ბერიშვილი აკლდა, მაგრამ „დინამომ" საამმატჩოდ ერთბაშად ხუთი წამყვანი მოთამაშე მოისაკლისა, რომელთაგანაც ერთი, ვანო აბულაძე მეორე წრიდან თსუ-ს შეუერთდა.

ასე და ამგვარად, დასუსტებული „დინამო" მხოლოდ საწყის წუთებში გაუძალიანდა მოწინააღმდეგეს, მერე კი საბოლოოდ გატყდა და მარცხს შეეგუა. აღსანიშნავია, რომ ვერაფრით ააწყო თამაში აბულაძის წასვლის შემდეგ ეულად დარჩენილმა დინამოელთა ლიდერმა გიორგი ნიკოლაძემ. ეს ფაქტორი რომ არა, ექსფლაგმანი უფრო საპატიო მარცხს გამოჰკრავდა ხელს.

**საქართველოს ჩემპიონატი. 12 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 11 | 11 | 0 | 1095:884 | 22 |
| აზოტი | 12 | 10 | 2 | 1155:941 | 22 |
| სტუ | 12 | 9 | 3 | 1124:888 | 21 |
| სდასუ | 12 | 8 | 4 | 1080:988 | 20 |
| ვითა | 12 | 8 | 4 | 1044:949 | 20 |
| თსუ | 12 | 7 | 5 | 1083:1048 | 19 |
| მაკაბი | 12 | 6 | 6 | 999:916 | 18 |
| დინამო | 12 | 4 | 8 | 890:1003 | 16 |
| შევარდენი | 12 | 4 | 8 | 865:1005 | 16 |
| გორი | 11 | 3 | 8 | 824:973 | 14 |
| ასკ | 12 | 1 | 11 | 851:1129 | 13 |
| სსუ | 12 | 0 | 12 | 852:1136 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. I ტური. 5-6 იანვარი

### E ჯგუფი

**ჟალგირისი 60:68 ბარსელონა**

ჟალგირისი: ბატლერი (6), გარნერი, მასიულისი (12), შესტოკასი, სლანინა (5), სტუმბრისი, ტიმინსკასი (17), ზიდეკი, ე. ჟუკაუსკასი (7), მ. ჟუკაუსკასი (13)

ბარსელონა: ალსტონი (12), დე ლა ფუენტე (2), დიგბო (2), დუენიასი (7), ელსონი (4), გასოლი (4), გოლდვაიერი (23), გუროვიჩი (7), ნავარო (4), როდრიგესი (3)

**ალბა 66:76 ბენეტონი**

ალბა: ალექსისი (21), ბოგოევიჩი (5), დეჰია (7), ფემერლინგი (17), გარისი (3), ჰამინკი, ოკულაია (6), პაპიჩი (1), როდლი (6)

ბენეტონი: დი სპალატრო (4), ედნი (16), მარკონატო (15), ნეესი (15), ნიკოლა (5), პიტისი (2), სანტოსი, შეპარდი (19), ტრაინა

**თოფაში 87:73 ცსკა**

თოფაში: ბაში (12), ერდოგანი (1), გრიფიტი (7), ქონუქი (7), ოქური (9), ფარსი (4), რიმაცი (14), რივერსი (19), როჯერსი (14), ილმაზი

ცსკა: ალანოვიჩი, დაინეკო (16), ეინიკისი (5), კარასიოვი (2), კირილენკო (10), კუდელინი (21), პანოვი (9), სკელინი, ვეტრა (10)

*II ტური. 12.01: ბარსელონა — თოფაში. 13.01: ბენეტონი — ჟალგირისი, ცსკა — ალბა*

### G ჯგუფი

**ბუდუჩნოსტი 59:67 მაკაბი**

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (2), ბულატოვიჩი (13), კუზმანოვიჩი (4), პაიოვიჩი (1), რადონიჩი (5), შჩეპანოვიჩი (11), ტომაშევიჩი (5), ტოპიჩი (12), დრაგან ვუკჩევიჩი (6)

მაკაბი: ბრისკერი (1), კომეგისი (2), ჰენფელდი (12), ჰაფმანი (24), ჯამჩი (5), მაკდონალდი (12), შეფერი (6), შელეფი (5)

**კახა სან ფერნანდო 65:66 ოლიმპიაკოსი**

კახა სან ფერნანდო: კორალესი (5), დიესი (3), ფერნანდესი (3), ფორტიე (5), რომერო (7), შუტე, სმიტი (14), სოლანა (14), ტერნერი (14)

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა, დე მიგელი (2), ტ. ედვარდსი, გრანტი (5), პაპანიკოლაუ (8), რობინსონი (27), ტარლაჩი (14), ტომიჩი (2), დუშან ვუკჩევიჩი (8)

**პო ორტეზი 72:61 ვილერბანი**

პო ორტეზი: ფატუ (3), დ. გადუ (4), ტ. გადუ (15), გულიაში (11), მაზინგი (4), რიზაშე (11), სვინსონი (17), ჩილოემბა, ტრუვიონი (7)

ვილერბანი: ბილბა (13), ბლომი (4), ლარანიაგა (7), მაქსი (3), პერსევო (2), პლუვი (11), სამი, სილსი (13), სონკო (8)

*II ტური. 12.01: ოლიმპიაკოსი — ბუდუჩნოსტი. 13.01: ვილერბანი — კახა სან ფერნანდო, მაკაბი — პო ორტეზი*

### F ჯგუფი

**პაოკ 72:71 რეალი**

პაოკ: ალექსანდერი (19), ბალოიანისი (11), ბაზარევიჩი, ბ. ედვარდსი (7), იანულისი (18), მასლარინოსი, ნიკოლაიდისი (13), პერალი (2), პრელევიჩი (2)

რეალი: ა. ანგულო (11), ლ. ანგულო (4), ჯორჯევიჩი (12), გალილეა, ერეროსი (16), იტურბე (7), მიხაილოვი (6), სკოტი (12), სტრიულენსი (3)

**შოლე 66:77 ოლიმპია**

შოლე: ბარდე, ბილონი (6), დიუბო (11), ევოდო (2), გოტიე (17), ჰეიესი (8), ჟანო (7), მარკიზი, მიკუ (6), სტივენსონი (9)

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (6), ბერი (19), ბრეჟეცი, დუშჩაკი (3), გოლემაცი (8), იასიკევიჩუსი (9), კოტნიკი (6), მილიჩი (24), მოდრიჩი, ზდოვცი (2)

**ცრვენა ზვეზდა 61:76 პანათინაიკოსი**

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (11), ბოშკოვიჩი, იესტრატიევიჩი (14), ლუკოვსკი (2), რადმანოვიჩი (8), რაკოჩევიჩი (16), სტანოევიჩი (4), ტიცა (2), ტოპალოვიჩი (2), ვუიანიჩი (2)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (9), ბოდიროგა (18), ბერკი (10), კალაიძისი, კატაში (9), კოხი (6), რებრაჩა (6), როჯერსი (18)

*II ტური. 13.01: პანათინაიკოსი — შოლე, რეალი — ცრვენა ზვეზდა, ოლიმპია — პაოკ*

### H ჯგუფი

**ვარეზე 89:77 ციბონა**

ვარეზე: ფოიერა (2), კისურინი (13), მენეგინი (20), პოცეკო (16), სანტიაგო (26), ვესკოვი (10), ვუხერერი (2), ზანუს-ფორტესი

ციბონა: ალიჰოჯიჩი (4), გირიჩეკი (17), კრსტიჩი (9), ნიჩევიჩი, პრკაჩინი (9), სარლია (7), სესარი (18), ი. ვრანკოვიჩი (13)

**პივოვარნა 79:91 ეფესი**

პივოვარნა: დრაგშიჩი (7), გოლოვიცი (21), ჰაფნარი (8), იურაკი (2), კუნცი (5), ლისიცა (20), ნახბარი (16), ჟარკოვიჩი

ეფესი: ბეშოქი (19), დრობნიაკი (16), ფირინჯიოლლუ, ქუთლუაი (18), მულაომეროვიჩი (17), ონანი (2), სანჯარი, თურქოლლუ (17), ვექილოლლუ (2)

**ულქერი 76:68 ფორტიტუდო**

ულქერი: ალენი (19), აიდინი, ერდენაი, გონლუმი, კოტუროვიჩი (4), ოზთურქი (7), პოუპი (21), სარიჯა (10), თოფსაკალი (6), ილდირიმი (9)

ფორტიტუდო: ბაზილე (7), ფუჩკა (15), გალანდა (7), გაი (1), კარნიშოვასი (19), იარიჩი (4), მაიერსი (8), პილუტი, ს. ვრანკოვიჩი (7)

*II ტური. 12.01: ციბონა — ულქერი, ფორტიტუდო — პივოვარნა. 13.01: ეფესი — ვარეზე*



თოფაში — ცსკა 87:73. თოფაშელი სლავენ რიმაცის (№6) გარღვევას თანაგუნდელი დევიდ რივერსი (№15) და არმიელები გინტარას ეინიკისი (№11) და ვასილი კარასიოვი (№10) შესცქერიან

REUTERS

# ოლსტარი დღეს რომ გაიმართოს...



13 თებერვალს სან ფრანცისკოში, უფრო ზუსტად კი მის გარეუბან ოკლენდში გაიმართება ოლსტარის 49-ე გათამაშება. მისისიპის გაღმა-გამოღმა საკალათბურთო ამერიკის რჩეულ ვარსკვლავთა კრებულები „გოლდენ სტეიტ ვორიორზის" შინაურ სარბიელზე, „არენა ინ ოკლენდში" შეერკინებიან ერთმანეთს. ორი თორმეტ-თორმეტ კაციანი გუნდის დაკომპლექტებას თავისი წესები აქვს, რომლებზეც ამჯერად არ შევჩერდებით. მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის სასტარტო ხუთეულები გულშემატკივართა საყოველთაო გამოკითხვის შედეგად დადგინდება. გამოკითხვა კი უკვე ორი თვეა, მიმდინარეობს და იანვრის მიწურულს დასრულდება, თვით მატჩამდე ორი კვირით ადრე. საყურადღებოა ისიც, რომ აქ არჩეული მოთამაშე იქნებ არ გახლდეთ უძლიერესი თავის ამპლუაში, მაგრამ მაყურებელთა სიმპათია ადგილს სასტარტო ხუთეულში დაუმკვიდრებს. გულშემატკივარი ირჩევს ორ უკანახაზელს, ორ თავდამსხმელს და ერთ ცენტრს. ამჟამად მდგომარეობა ასეთია. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთის სასტარტო ხუთეულში ადგილი გარანტირებული აქვს „მაიამის" ცენტრ ალონზო მურნინგს. მისი მდევრები მხოლოდ პირობითად თუ ეთქმით ბებერ პატრიკ ოუინგსა და დიკემბე მუტომბოს, სხვებზე კი არც ღირს ყურადღების შეჩერება. მურნინგის მხარდამხარ ორი თავდამსხმელის ადგილს ალბათ ვინს კარტერი და გრანტ ჰილი დაიკავებენ და სავსებით სამართლიანადაც. გრანტ ჰილს ოთხჯერ მიუღია ოლსტარში მონაწილეობა და ოთხჯერვე მისი თამაშით მუდამ მოხიბლულ გულშემატკივრობას სასტარტო ხუთეულში გაუმწესებია. ალბათ ახლაც ასე იქნება. ჭაბუკი ვინს კარტერი კი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მეორე სეზონსატარებს, საერთოდ ლიდერობს აღმოსავლელებს განურჩევლად ამპლუისა. როგორც ჩანს, მისი ფრენა და ჩატენვები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. თავდამსხმელებში ამ ორს მხოლოდ ნიუიორკელი ლატრელ სპრიუელი თუ უწევს კონკურენციას.

თითქმის წინასწარაა ცნობილი ერთ-ერთი უკანახაზელი. იგი სეზონის ბომბარდირი ალენ აივერსონი გახლავთ, რომელიც შორს გაექცა სხვა დაბლებს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უეჭველად ითამაშებს სასტარტო ხუთეულში. ეს ოლსტარი პირველი იქნება აივერსონისთვის ოთხწლიან კარიერაში. მეორე უკანახაზელის ადგილისთვის ბრძოლაში არნახული კონკურენციაა. მისი დასაკუთრების შანსი ერთბაშად ექვს კაცს აქვს. ჯერჯერობით უფრო შარლოტელი ედი ჯონსი მძლავრობს. მაგრამ იმდენად ახლოს არიან კონკურენტები, რომ უკანახაზელებში მისი მეორეობა ჯერჯერობით ბევრს არაფერს ნიშნავს.

ეს აღმოსავლეთში, დასავლეთში კი ერთადერთი, ვინც გამოკვითხვის დღევანდელი შედეგებიდან გამომდინარე ნამდვილად ითამაშებს ოლსტარში, „ლეიკერსის" ცენტრი შაკილ ონილია. ონილი მუდამ სასტარტო ხუთეულში თამაშობს და უეჭველად ახლაც ესე იქნება. ბოლომდე არაა გამოკვეთილი, მაგრამ ხუთეულში თამაშის კარგი შანსები აქვთ კევინ გარნეტს და ტიმ დანკანს. მათ ბევრად ჩამორჩებიან სკოტი პიპენი და კრის ვებერი.

უკანახაზელთა ორი ადგილისთვის ძირითადად ოთხი კაცი იბრძვის და ნებისმიერი მათგანი შეიძლება ხუთეულში ვიხილოთ. ისე, ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ კობი ბრაიანტის წარუმატებლობა გასაკვირი იქნება. ამ ყმაწვილმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ ითამაშა ოლსტარის სასტარტო ხუთეულში და ამ მატჩების ყველაზე მცირეწლოვანი მონაწილე შეიქმნა.

## აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| **უკანახაზელები** | |
| ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 953 987 |
| ედი ჯონსი (შარლოტი) | 378 310 |
| ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი) | 304 761 |
| სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი) | 259 215 |
| რეი ალენი (მილუოკი) | 226 556 |
| **ფორვარდები** | |
| ვინს კარტერი (ტორონტო) | 987 292 |
| გრანტ ჰილი (დეტროიტი) | 705 995 |
| ლატრელ სპრიუელი (ნიუ იორკი) | 402 345 |
| მარკუს კემბი (ნიუ იორკი) | 246 552 |
| შონ კემპი (კლივლენდი) | 187 008 |
| **ცენტრები** | |
| ალონზო მურნინგი (მაიამი) | 978 744 |
| პატრიკ იუინგი (ნიუ იორკი) | 144 122 |
| დიკემბე მუტომბო (ატლანტა) | 143 716 |

## დასავლეთი

| | |
|---|---|
| **უკანახაზელები** | |
| ჯეისონ კიდი (ფინიქსი) | 541 560 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 502 059 |
| გერი პეიტონი (სიეტლი) | 470 252 |
| ჯეისონ უილიამსი (საკრამენტო) | 457 977 |
| ანფერნი ჰარდევეი (ფინიქსი) | 285 035 |
| **ფორვარდები** | |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | 806 247 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 686 478 |
| სკოტი პიპენი (პორტლენდი) | 347 948 |
| კრის ვებერი (საკრამენტო) | 319 505 |
| კარლ მელოუნი (იუტა) | 169 252 |
| **ცენტრები** | |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 921 974 |
| დევიდ რობინსონი (სან ანტონიო) | 131 720 |
| ვლადე დივაცი (საკრამენტო) | 129 117 |

## რეგულარული ჩემპიონატი

27 დეკემბერი

ორლანდო 105:107 მინესოტა

შარლოტი 108:104 ატლანტა

ჩიკაგო 91:103 ინდიანა

იუტა 92:91 ფინიქსი

ლეიკერსი 108:106 დალასი

გოლდენ სტეიტი 83:105 სან ანტონიო

ვანკუვერი 93:100 ფილადელფია

28 დეკემბერი

ნიუ ჯერსი 89:83 ნიუ იორკი

მაიამი 89:78 მინესოტა

ჰიუსტონი 99:100 ტორონტო

დენვერი 128:105 კლიპერსი

საკრამენტო 114:101 ბოსტონი

პორტლენდი 94:89 სიეტლი

29 დეკემბერი

ორლანდო 106:109 მაიამი

შარლოტი 109:105 მილუოკი

ჩიკაგო 77:91 დეტროიტი

ატლანტა 89:116 ინდიანა

კლივლენდი 96:94 ვაშინგტონი

იუტა 101:90 ვანკუვერი

ლეიკერსი 103:87 ფინიქსი

გოლდენ სტეიტი 94:97 ფილადელფია

სიეტლი 104:113 საკრამენტო

30 დეკემბერი

ნიუ ჯერსი 102:92 ორლანდო

ვაშინგტონი 86:89 ნიუ იორკი

დეტროიტი 106:105 ატლანტა

(ძირითადი დრო 97:97)

ინდიანა 109:99 შარლოტი

მილუოკი 91:90 კლივლენდი

მინესოტა 94:76 ჩიკაგო

დალასი 104:109 ტორონტო

ჰიუსტონი 122:100 კლიპერსი

დენვერი 94:102 ბოსტონი

პორტლენდი 108:90 ფილადელფია

ვანკუვერი 88:98 სან ანტონიო

2 იანვარი

მაიამი 111:103 ორლანდო

3 იანვარი

ბოსტონი 105:98 კლივლენდი

ფილადელფია 124:120 მილუოკი

(ძირითადი დრო 115:115)

ვაშინგტონი 99:87 გოლდენ სტეიტი

ორლანდო 106:118 დეტროიტი

ჩიკაგო 63:88 პორტლენდი

იუტა 109:89 დენვერი

4 იანვარი

ნიუ იორკი 96:88 ბოსტონი

მაიამი 87:91 ვანკუვერი

ტორონტო 90:114 პორტლენდი

კლივლენდი 107:111 საკრამენტო

ინდიანა 116:111 ნიუ ჯერსი

მილუოკი 116:113 ატლანტა

მინესოტა 91:88 სან ანტონიო

ჰიუსტონი 96:103 სიეტლი

დენვერი 98:96 დალასი

ფინიქსი 86:80 შარლოტი

კლიპერსი 98:122 ლეიკერსი

5 იანვარი

ფილადელფია 113:92 გოლდენ სტეიტი

ორლანდო 116:96 ვანკუვერი

ატლანტა 108:120 დეტროიტი

ჩიკაგო 77:66 ვაშინგტონი

სან ანტონიო 96:99 სიეტლი

იუტა 118:96 შარლოტი

ლეიკერსი 118:101 კლიპერსი

6 იანვარი

მაიამი 111:99 ჰიუსტონი

ტორონტო 101:89 საკრამენტო

კლივლენდი 90:75 გოლდენ სტეიტი

დეტროიტი 101:95 მილუოკი

მინესოტა 98:96 პორტლენდი

დალასი 92:105 იუტა

დენვერი 87:102 ინდიანა

7 იანვარი

ბოსტონი 101:93 საკრამენტო

ნიუ ჯერსი 91:101 ვანკუვერი

ვაშინგტონი 103:110 ჩიკაგო

ორლანდო 86:94 ნიუ იორკი

ატლანტა 105:97 ტორონტო

ფინიქსი 83:102 სან ანტონიო

ლეიკერსი 87:83 შარლოტი

8 იანვარი

ნიუ იორკი 86:89 კლივლენდი

მაიამი 89:90 ნიუ ჯერსი

დეტროიტი 105:110 მინესოტა

ჩიკაგო 96:79 ბოსტონი

მილუოკი 130:129 ვაშინგტონი

(ძირითადი დრო 105:105)

დალასი 95:85 ატლანტა

ჰიუსტონი 87:103 იუტა

სან ანტონიო 127:92 ორლანდო

დენვერი 97:92 შარლოტი

კლიპერსი 107:94 ინდიანა

პორტლენდი 96:91 ფინიქსი

სიეტლი 100:110 ლეიკერსი

9 იანვარი

ფილადელფია 112:123 მინესოტა

გოლდენ სტეიტი 95:100 სიეტლი

(ძირითადი დრო 91:91)

საკრამენტო 116:113 ინდიანა

ტორონტო 97:107 ვანკუვერი



ბადრი კოთილაძის ფოტო

ნინო სალუქვაძე

# ნინოს გერმანიაში უნდა

ნინო სალუქვაძემ შარშანდელი სეზონი გერმანიაში დაიწყო. მან ჯერ 10 დღით დორტმუნდში წავარჯიშა, მერე კი მიუნხენის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ზედიზედ ორჯერ იმარჯვა პნევმატური იარაღით სროლაში. არადა, ეს წლის პირველი დიდი ტურნირია და მასში ყოველთვის ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს. იმდენად ძლიერი, რომ მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ.

ჩვენი სახელოვანი ჩემპიონი და უპირველესი ოლიმპიური იმედი წლეულსაც ასე აპირებდა სეზონის გახსნას, მაგრამ... ფედერაციის მიერ შედგენილი და მწვრთნელ-სპორტსმენთან შეთანხმებული საგანგებო გეგმით ნინომ 15 იანვარს დორტმუნდში შეკრება უნდა დაიწყოს, 25-ში მიუნხენში ზემოხსენებული ტურნირია, გერმანიაში წასასვლელი ფული კი ჯერაც არ ჩანს. თუ ახლა არ გამიშვებ, მერე არსადაც არ წავალო, გვითხრა სალუქვაძემ, როცა გუშინ სალამის ტელეფონით შევეხმიანეთ.

იმედია, საქმე აქამდე არ მივა და ნინო გერმანიაში მაინც გამგზავრება, ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ ნინოს იმ შარშანდელ მიუნხენურ წარმატებებს ბარაქიანი სეზონი მოჰყვა — მსოფლიოს თასი, ევროპის ვიცე-ჩემპიონობა, ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლები მსოფლიოს თასის ეტაპებზე. სწორედ ამ წარმატებებმა მოაპოვებინა მას 1999 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის წოდება. ვნახოთ, რა იქნება წლეულს...

ირაკლი თავაძე



# უფულო, უქულო, უსახლკარო

## საქართველოს ნაკრებმა შვეიცარიელებს თავი დააპატიჟებინა და...

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობა რომ ერთობ საეჭვო იყო, ამაზე არაერთხელ გვითქვამს. ხელბურთელთა გასაჭირზე ბევრჯერ გვილაპარაკია — უფულობის გამო ქართველებმა საშინაო მატჩებზე უარი თქვეს და ევროპის ხელბურთის ფედერაციას და მეტოქეებს სთხოვეს, შეხვედრებს სტუმრად ჩავატარებთო. დასტური მიიღეს და ზაზა დოლიძემაც შეგირდები შვეიცარიის გზას გაუყენა.

6 იანვარს ქალაქ სტანსში ქართველმა ხელბურთელებმა პირველი მატჩი გამართეს შვეიცარიელებთან და დასანანი მარცხი იწვნიეს. პირველი ტაიმი ორი ბურთის სხვაობით დათმეს — 10:12, მეორე ნახევარში უკეთ ითამაშეს, თუმცა მასპინძლებს ვერაფერი მოუხერხეს და 17:18 დამარცხდნენ. ჩვენებურთაგან 5 გოლით საუკეთესო სერგო დათუკაშვილი იყო. არც 8 იანვარს, ბერნში გამართულ მეორე მატჩში შეურცხვენია თავი სერგო დათუკაშვილს, მან ექვსჯერ დალაშქრა მეტოქის კარი, ამდენივე გაიტანა ტიტე კალანდაძემაც, თანაგუნდელებმა ამ მონაგარს კიდევ შვიდი მიუმატეს, მაგრამ ქართველებმა საკუთარ კარში 27 ბურთი გაუშვეს. 19:27, საბოლოოდ ამ ანგარიშით დავმარცხდით და, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის იმედიც ბერნში დასამარდა.

ქახა ხურციძე



ბადრი კოთილაძის ფოტო

სერგო დათუკაშვილმა (ბურთით) შვეიცარიელებს ორ მატჩში 11 ბურთი გაუტანა

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. III ჯგუფი

6 იანვარი. I ტური

საქართველო — შვეიცარია 17:18 (10:12)

ბელარუსი — ისრაელი 24:21

8 იანვარი. II ტური

შვეიცარია — საქართველო 27:19 (12:0)

ისრაელი — ბელარუსი 22:24

### სატურნირო ვითარება

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 45:36 | 4 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 0 | 48:43 | 4 |
| ისრაელი | 0 | 0 | 2 | 43:48 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 2 | 36:45 | 0 |



# პრეზიდენტს კონკურენტი არ ჰყავს

დღეს სპორტის დეპარტამენტში საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა გაიმართება. მისი მიზანია 1999 წლის შედეგების შეჯამება და ახალი სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბება. ყრილობა რაგბის კავშირის ახალ პრეზიდენტსაც აირჩევს. კანდიდატი მხოლოდ ერთია — მორაგბეთა ახლანდელი თავკაცი ბიძინა გეგიძე. მისმა კონკურენტმა თამაზ ანდღულაძემ თავისი კანდიდატურა მოხსნა



ბადრი კოთილაძის ფოტო

ბიძინა გეგიძე

რითი მოვიდა ქართული რაგბი 2000 წლამდე? განსაკუთრებული, საერთაშორისო მიღწევებით ვერ დავიკვეხნით, თუმცა სასიამოვნო სიურპრიზების მომსწრენიც გავხდით. მთავარი ისაა, რომ საქართველოს პირველობა ჩატარდა, საქართველოს ჩემპიონიც გამოვლინდა.

ჩემპიონატში ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა და ასევე დასრულდა. ბათუმის „დათვები" თავიდანვე ლიდერობდნენ და ბოლო მატჩამდე არ დაუთმიათ პირველობა. უნდა ითქვას მოედნებსა და მსაჯობაზეც. ქართული რაგბის მოყვარულთ კარგად მოეხსენებათ, რომ მოედნები ფაქტობრივად არ არსებობს. იქნებ შეგვედავონ, ეგ როგორო, მაგრამ თუნდაც იმ ადგილებს, სადაც ოქროყანასა და ვარკეთილში თამაშები იმართება, მოედნებად ნამდვილად ვერ ჩავთვლით, სასოფლო აკადემიის სტადიონზე ძლიერად დარტყმული ბურთის ძებნა არცთუ იშვიათად საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ასკის მოედანზე კი რამდენმა გუნდმა უნდა ითამაშოს? გამოდის, რომ საქართველოს 1999 წლის ჩემპიონატს მართლაც არ ჰქონდა მოედანი და თუ პირველობა ჩატარდა, მხოლოდ გუნდების დაჟინებით და ენთუზიაზმით.

მსაჯობა... მასზე ბევრი ითქვა და დაიწერა. გალახული მსაჯებიც მრავლად გვყავს და დისკვალიფიცირებული სპორტსმენებიც. თავი და თავი მაინც სუსტი მსაჯობაა. არაობიექტური შეგნებულად არ ვუწოდეთ, რადგან ამისგან ნამდვილად შორს იდგნენ ჩვენი არბიტრები. ირჯებოდნენ ისე, როგორც შეეძლოთ, როგორც ასწავლეს და როგორც ისწავლეს. ალბათ სწორედ ამიტომ ვერ უყენებს რაგბის კავშირი პრეტენზიებს სამსაჯო კომიტეტს, რომ მოსთხოვოს, რალაც ხომ უნდა მისცეს სამაგიეროდ და რომ ვერ აძლევს, იმიტომაცაა მსაჯობის დონე ასეთი.

2000 წლისთვის რაგბის კავშირს უკვე ჩამოყალიბებული აქვს სამუშაო გეგმა. იზრდება გუნდების შესატანები, დაწესდება საწევროების გადახდაც. თუმცა თუ მოედნების და მსაჯობის პრობლემა არ მოგვარდა, ყველაფერი აზრს კარგავს. ამ საქმეს კი სერიოზული დაფინანსების გარეშე არაფერი ეშველება. აი, ჩვენი ნაკრები რომ გასულიყო მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე, მაშინ IRB მილიონი დოლარით დაგვასაჩუქრებდა, თუმც თქვენც კარგად მოგეხსენებათ ერთი ქართული ანდაზა: ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონატი ზაფხულის მიწურულს დაიწყება, ვინაიდან მორაგბეები სიცხეში თამაშს ერიდებიან. მანამდე კი არასაჩემპიონატო ტურნირებს ჩაატარებენ, რათა მსაჯებს მომზადებაში დაეხმარონ და გუნდებმაც ფორმა შეინარჩუნონ. ასეთი რამ პირველად მოხდება და ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს. ისე კი ჩემპიონატის აგვისტო-სექტემბერში დაწყებით ევროპის სარაგბო-საშეჯიბრო პრაქტიკას უფრო მივუახლოვდებით.

ქართველი მწვრთნელები და მოთამაშეები იმედის თვალით შეჰყურებენ მომავალ ჩემპიონატს. ლიდერი პოზიციის დათმობას არ აპირებს. გაწბილებული გუნდები კი სამაგიეროს გადახდით იქადნებიან და ძალას და ენერგიას იკრებენ. ვნახოთ, რა მოხდება. ჯერჯერობით შესვენებაა და საწვრთნელი შეკრებებიც არ დაწყებულა.

ყრილობაზე საჩემპიონატო კალენდარზე ალბათ არ იქნება საუბარი. ეს მერე, სამუშაო ჯგუფების შექმნის შემდეგ დაიწყება. არც ნაკრებზე ილაპარაკებენ, თუმცა რა უნდა თქვან, აქ ხომ ყველაფერი გარკვეულია, კლოდ სორელი ჯერჯერობით ავად თუ კარგად უძღვება საქმეს. მუშაობის მისეულმა სტილმა შედეგი უკვე გამოიღო. ფრანგი მწვრთნელი მიხვდა, რომ სანაკრებოდ მორაგბეებს სავარჯიშოდ უფრო კარგი პირობები სჭირდებათ და მანაც ნელ-ნელა საფრანგეთის გუნდებში გაამწესა ქართველი ბიჭები. მისი და რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის ზაზა ქასაშვილის დიდი მონდომებით ნაკრების წევრთა უმეტესობა საკმაოდ ძლიერ ფრანგულ გუნდებში თამაშობს. კლოდ სორელის თავკაცობით საქართველოს ნაკრებმა შვიდკაცას მსოფლიოს თასის ორ ტურნირზე მიიღო მონაწილეობა. მართალია, დუბაიში ნულოვანი შედეგი მივიღეთ, მაგრამ სტელენბოშის ტურნირში მესამე ადგილი დაიკავეს ბორჯღალოსნებმა, რაც უთუოდ ძალიან კარგი შედეგია. ამ თამაშებში ნაკრების შემადგენლობა ძირითადად ლეგიონერებით იყო დაკომპლექტებული და დიდი ნაკრების შემთხვევაშიც ასე იქნება. ყველაფერი ამის გათვალისწინებით, კლოდ სორელი ალბათ ისევ ნაკრების მწვრთნელად დარჩება.

ბიძინა გეგიძეს კონკურენტი არა ჰყავს, პრეზიდენტადაც მას აირჩევენ. რაგბის კავშირის მუშაობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არც უნდა ველოდოთ. საკადრო ცვლილებებზე მოგახსენებთ, თორემ ჩემპიონატის ორგანიზებას რომ სერიოზული მუშაობა სჭირდება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. პირველობის დონე რომ ასამაღლებელია, ყველამ უწყის. ასეთ მოედნებზე, ასეთი მსაჯობით მომავალ ჩემპიონატზე გუნდები უბრალოდ არ გამოვლენ სათამაშოდ. ჩემპიონატი რომ ჩატარდა, ნამდვილად მისასალმებელია, თუმცა ჩატარებაც არის და ჩატარებაც. არ გაიმართა ხუთეულის მატჩები, ამაზე არავის უზრუნია. ბოლოს ისევ გუნდებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში და როგორც იქნა, ჩაათავეს ეს პირველობაც.

უპირველესად ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა უნდა შეიცვალოს. ჯერ კიდევ წინა სეზონში იყო საუბარი იმაზე, რომ შეკვეცილიყო უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდების რაოდენობა და პარალელურად შექმნილიყო პირველი ლიგა. თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ალბათ ასეც იქნება. უმაღლეს ლიგაში ექვსი გუნდი შევა, ასევე პირველ ლიგაშიც. ეს ალბათ მნიშვნელოვანწილად გაზრდის კონკურენციას პირველობისთვის და საქართველოს ჩემპიონატი სანახაობრივადაც უფრო საინტერესო გახდება.

ჩვენს სარაგბო გუნდებს რომ არ ულხინთ, ყველამ კარგად იცის. მართალია, რალაც-რალაცით კი ეხმარებიან, მაგრამ ეს მათი მოთხოვნების ზღვაში წვეთია მხოლოდ. მთლიანად საქართველოს ჩემპიონატს სჭირდება სერიოზული მფარველი, პირველ რიგში ფინანსურად უზრუნველმყოფი. აბა, წარმოიდგინეთ, ამ მდგომარეობაში მყოფი სარაგბო პირველობა არაფრით ჩამოუვარდება, თუ არ სჯობნის, სპორტის სხვა სახეობებს საქართველოში (სანახაობრივად და ინტრიგით). ამას რომ ზემოთნახსენები მხარდაჭერა დაემატოს, ჩვენი რაგბის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. მერე ჩვენი მორაგბეებისთვის საფრანგეთში კი არ დავიწყებთ გუნდების და სავარჯიშო პირობების ძიებას, არამედ აქვე გამოვზრდით, მშობლიურ გარემოში, შემდეგ კი ჩვენი გუნდები საერთაშორისო სარბიელზეც წელგამართულნი გავლენ და ერთ მშვენიერ დღეს იქნებ ახალზელანდიელ „შავებსაც" დავეჯახოთ მსოფლიოს თასის ფინალში.

კი, კი გავუტიეთ ნამდვილად. ისე არ დაგვემართოს, ერთმა დაკონკილმა გლეხმა რომ ქილა ერბო იპოვა და დასახლდა კაცი. თუმცა რატომაც არ უნდა ვიოცნებოთ?

ისე არ იფიქროთ, თითქოს გვჯეროდეს ერთ დღეში გამოსწორდება ყველაფერი. არა, ნამდვილად არა, მაგრამ მცდელობას თუ არ დავაკლებთ, ბევრ რამეს გავაკეთებთ კიდეც და სარაგბო შეხვედრების სანახავად მარტო ჟურნალისტები და სპორტსმენების ნაცნობ-მეგობარ-საცოლეები-მეუღლეების გარდა სხვებიც მივლენ, ისინი რომელთაც უყვართ და აინტერესებთ სპორტის ეს სახეობა.

ზურა ბენიძე

27 დეკემბერი
კოლორადო — სენტ ლუისი 5:1
დალასი — სან ხოსე 1:3
ედმონტონი — ანაჰაიმი 4:1
დეტროიტი — ატლანტა 3:2
ტამპა — ფლორიდა 1:6
ნიუ ჯერსი — ბუფალო 4:1
აილენდერსი — ბოსტონი 3:0
ვაშინგტონი — ჩიკაგო 2:2
კალგარი — ფილადელფია 1:5
ოტავა — მონრეალი 4:4

28 დეკემბერი
ფინიქსი — რეინჯერსი 2:2
ნეშვილი — კაროლინა 3:2
ბუფალო — დეტროიტი 2:7

29 დეკემბერი
ვანკუვერი — ფილადელფია 2:3 (დ.დ.)
კალგარი — ანაჰაიმი 3:1
კოლორადო — ლოს ანჯელესი 4:2
დალასი — რეინჯერსი 4:3 (დ.დ.)
აილენდერსი — ტორონტო 1:2
მონრეალი — ოტავა 2:3
ნიუ ჯერსი — ბოსტონი 5:4 (დ.დ.)
ვაშინგტონი — პიტსბურგი 3:2 (დ.დ.)

30 დეკემბერი
ლოს ანჯელესი — ედმონტონი 8:2
ჩიკაგო — ფლორიდა 2:1
ნეშვილი — ატლანტა 6:0
სენტ ლუისი — სან ხოსე 2:1 (დ.დ.)
პიტსბურგი — აილენდერსი 9:3
ოტავა — ბოსტონი 5:4 (დ.დ.)

31 დეკემბერი
დეტროიტი — ჩიკაგო 4:4
დალასი — ანაჰაიმი 5:4

1 იანვარი
ფინიქსი — ედმონტონი 4:5
ვაშინგტონი — სენტ ლუისი 1:1
ბოსტონი — ნიუ ჯერსი 2:2
ატლანტა — კაროლინა 2:4
ბუფალო — ტორონტო 8:1
ფლორიდა — ტამპა 7:5
ნეშვილი — სან ხოსე 3:2

2 იანვარი
ჩიკაგო — სან ხოსე 1:4
მონრეალი — რეინჯერსი 2:2
პიტსბურგი — დეტროიტი 4:3
კალგარი — ვანკუვერი 4:2
აილენდერსი — ფილადელფია 1:4

3 იანვარი
კოლორადო — ედმონტონი 2:2
დალასი — ლოს ანჯელესი 4:1
ტორონტო — ბუფალო 6:2
რეინჯერსი — სენტ ლუისი 2:5
ოტავა — ნიუ ჯერსი 3:4 (დ.დ.)

4 იანვარი
სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი 2:2
აილენდერსი — ბოსტონი 3:7
დეტროიტი — ფინიქსი 2:5
კაროლინა — ოტავა 1:2
ბუფალო — ატლანტა 4:5
ვაშინგტონი — მონრეალი 6:1

5 იანვარი
რეინჯერსი — ტორონტო 3:2 (დ.დ.)
პიტსბურგი — ნიუ ჯერსი 1:3
დალასი — ნეშვილი 3:1
კოლორადო — კალგარი 4:0
ედმონტონი — სან ხოსე 1:1
ვანკუვერი — ტამპა 3:3
ანაჰაიმი — ფლორიდა 1:5

6 იანვარი
ლოს ანჯელესი — ფლორიდა 4:2
ჩიკაგო — კალგარი 5:2
სენტ ლუისი — მონრეალი 4:3
ატლანტა — ვაშინგტონი 3:1
ფილადელფია — აილენდერსი 3:2
დეტროიტი — ნეშვილი 5:2

# ვამბობთ იაგრს, ვგულისხმობთ გრეცკის

REUTERS სენტ ლუისიდან



ვანკუვერელმა მარკუს ნესლუნდმა (19) და სენტლუისელმა კრის პრონგერმა ერმანეთი გვარიანად ქექეს

ბუფალო — ნიუ ჯერსი 3:6
ოტავა — ფინიქსი 5:2
ბოსტონი — კაროლინა 3:7

7 იანვარი
ედმონტონი — ტამპა 5:1
კოლორადო — მონრეალი 4:1
დალასი — ვანკუვერი 1:3
კაროლინა — ანაჰაიმი 4:4
პიტსბურგი — ტორონტო 5:2

8 იანვარი
**ბოსტონი — აილენდერსი 2:5**
1:1 0:3 1:1
0:1 იოკინენი 5'04 (3); 1:1 მერფი 14'56 (6); 1:2 ჩერკავსკი 24'46 (15); 1:3 სკაჩარდი 32'05 (2); 1:4 სკაჩარდი 34'53 (3); 2:4 კარტერი 40'26 (17); 2:5 მაკოლტი 59'16 (7)

**ოტავა — ბუფალო 4:7**
1:1 2:4 1:2
0:1 შატანი 13'46 (20); 1:1 პროსპალი 15'48 (9); 1:2 გრომეკი 21'20 (9); 2:2 ალფრედსონი 28'25 (6); 2:3 შატანი 31'13 (21); 3:3 ტრავერსი 34'27 (3); 3:4 რასმუსენი 34'40 (7); 3:5 შატანი 36'51 (22(; 3:6 ბრაუნი 44'53 (14); 3:7 ბარნსი 50'13 (11); 4:8 ვან ალენი 51'45 (6)

**ტორონტო — რეინჯერსი 3:5**
1:1 1:1 1:3
1:0 კ.კინგი 5'15 (1); 1:1 ნედვედი 10'29 (9); 2:1 სუნდინი 26'36 (18); 2:2 ნედვედი 32'17 (10); 3:2 ბერეზინი 43'01 (17); 3:3 გრეივსი 43'34 (14); 3:4 ნედვედი 52'28 (11); 3:5 მაკლინი 58'02 (7)

**ვაშინგტონი — ატლანტა 3:0**
1:0 0:0 2:0
1:0 დალინი 4'05 (5); 2:0 ოუთსი 40'20 (6); 3:0 იგლსი 47'43 (1)

**დეტროიტი — ანაჰაიმი 5:3**
1:1 1:0 3:2
1:0 ვერბიკი 0'51 (11); 1:1 ლეკლერკი 19'23 (7); 2:1 ლაპოინტი 26'21 (9); 2:2 კარია 42'21 (18); 3:2 აიზერმანი 43'30 (18); 4:2 ლიდსტრიომი 52'01 (9); 5:2 აიზერმანი 56'00 (18); 5:3 გრიმსონი 56'24 (1)

**ნიუ ჯერსი — ფინიქსი 4:3**
1:2 2:0 1:1
0:1 დოუნი 2'34 (14); 1:1 გომესი 5'02 (11); 1:2 ლუმე 6'10 (5); 2:2 ელიაში 25'28 (13); 3:2 ლემიე 25'54 (14); 3:3 რენიკი 46'58 (21); 4:3 ლემიე 54'16 (15)

**ნეშვილი — ჩიკაგო 6:3**
1:2 3:[illegible] 2:0
0:1 დაზე 3'01 (13); 0:[illegible] [illegible]რონოვი 11'37 (2); 1:2 ჯონსონი 16'2[illegible] ([illegible]); 2:2 ფიცჯერალდი 22'34 (1); 2:3 გილმორი 24'13 (15); 3:3 იაჩმენევი 25'16 (3); 4:3 ჰოულდერი 36'07 (2); 5:3 უოლკერი 46'40 (4); 6:3 ფიცჯერალდი 58'20 (8)

**ფილადელფია — პიტსბურგი 6:2**
3:1 1:1 2:0
1:0 რეკი 9'01 (18); 2:0 ჰალი 9'56 (7); 3:0 დანგკოუ 12'33 (10); 3:1 სტრაკა 15'25 (6); 4:1 ბრინდამორი 24'18 (4); 4:2 ბარნაბი 37'37 (4); 5:2 ჯონსი 40'26 (4); 6:2 რენბერგი 49'10 (7)

**სენტ ლუისი — ვანკუვერი 4:2**
1:0 0:1 3:1
1:0 ტარჯონი 11'59 (20); 1:1 ბერტუცი 33'13 (7); 2:1 დემიტრა 40'32 (17); 3:1 ტარჯონი 47'38 (21); 3:2 ოლუნდი 50'08 (1); 4:2 ისტვუდი 58'52 (14)

**კალგარი — ტამპა 3:2**
1:0 0:2 1:0 1:0
1:0 იგინლა 11'47 (9); 1:1 სილინჯერი 22'06 (11); 1:2 გრეტონი 38'16 (11); 2:2 იგინლა 53'54 (10); 3:2 ჰაუსლი 64'28 (7)

**სან ხოსე — ფლორიდა 2:4**
0:2 0:0 2:2
0:1 კვაშა 7'53 (3); 0:2 უიტნი 14'36 (17); 1:2 რატიე 43'20 (1); 1:3 ბურე 47'03 (27); 2:3 ჰარვი 52'02 (4); 2:4 ბურე 53'28 (28)

9 იანვარი
**კაროლინა — რეინჯერსი 1:0**
0:0 1:0 0:0
1:0 კოვალენკო 26'34 (8)

**ჩიკაგო — კოლორადო 5:3**
1:0 3:2 1:1
1:0 მაკამონდი 4'18 (8); 2:0 დაზე 21'46 (14); 3:0 ამონტე 23'49 (20); 3:1 ფორსბერგი 28'21 (4); 3:2 ფორსბერგი 27'21 (5); 4:2 ჟამნოვი 32'28 (9); 4:3 დრური 50'50 (12); 5:3 გილმორი 59'49 (16)

ძველი და ახალი წლების მიჯნაზე პიტსბურგის ჩეხმა სუპერფორვარდმა იარომირ იაგრმა, კიდევ ერთხელ გაგვახსენა უეინ გრეცკისა და მარიო ლემიეს ოქროს ხანა. 30 დეკემბერს აილენდერსთან შეხვედრაში იარომირმა ნამდვილი ბენეფისი მოაწყო — 3 შაიბას კიდევ 4 გადაცემა მიაყოლა. მოგეხსნებათ, ბოლო სეზონებში, ვერავინ შეძლო, ერთ თამაშში 7 ქულა მოეგროვებინა, თავის დროზე კი ეს მხოლოდ ზემოხსენებულ ორ დიადს მოუხერხებიათ. იაგრი არც სხვა მატჩებში დარჩენილა ხელმოცარული. ორი კვირის განმავლობაში ჩატარებულ 6 თამაშში მან 13 (5+8) ქულა მოაგროვა და ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი თვით ადრე ბომბარდირთა დავაში პრაქტიკულად გაინაღდა პირველობა (ცხადია, თუ ტრავმამ არ შეუშალა ხელი). იაგრის დარად სხვა ბომბარდირებმაც იყოჩაღეს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საახალწლოდ თაყვანისმცემლები გაეხარებინათ.

ფლორიდელ პაველ ბურეს ზედიზედ 11-ქულიანი წარმატების შემდეგ შეფერხებამ (ჩიკაგოსთან შეხვედრაში) სრულიადაც ვერ შეუშალა ხელი და მომდევნო თამაშშივე, 2000 წლის პირველ დღეს, „რუსულმა რაკეტამ“ ერთბაშად 4 შაიბა გაგზავნა ტამპას კარში. თვისტომის მაგალითს მისმა პარტნიორმა ვიქტორ კოზლოვმაც მიბაძა და ანაჰაიმთან კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა.

ამ დღეებში ჰეთ თრიქით გაახარეს ქომაგები ვაშინგტონის მცველმა სერგეი გონჩარმა (მონრეალთან თამაშში გატანილ 3 გოლს პასიც დაამატა), რეინჯერსის ფორვარდმა პეტერ ნედვედმა (მისი მსხვერპლი 8 იანვარს ტორონტო გახდა) და კოლორადოელმა ადამ დედმარშმაც (კალგარისთან თამაშში). ბომბარდირთა აქტიურობას საკმაოდ ბევრი მრავალგოლიანი მატჩი მოჰყვა. 9:3, 8:2, 8:1, 7:3 და სხვა ამგვარი ანგარიშები საახალწლო დღეებში ხშირად დაფიქსირდა, ხოლო ბუფალომ ასეთი შთამბეჭდავი თამაშების მთელი სერია მოაწყო — დეტროიტთან 2:7, ტორონტოსთან 8:1 და 2:6, ატლანტასთან 4:5, ნიუ ჯერსისთან 3:6, რასაც საბოლოოდ ოტავასთან 7:4 მოგება მიაყოლა. მიროსლავ შატარმა ამ მატჩში 5 (3+2) ქულა მიითვალა.

რაც შეეხებათ გუნდებს, ყოჩებში აუცილებლად ფილადელფია და ნიუ ჯერსი უნდა მოვიხსენიოთ. ატლანტის დივიზიონის ორმა ლიდერმა (შესაბამისად 5 მოგება და 7 მატჩში 13 ქულა) ნამდვილი რბოლა მოაწყეს და ამჟამადაც ერთმანეთს კუდში მისდევენ. „მფრინავთა“ რიგებში კვლავინდებურად ჯონ ლეკლერი, მარკ რეკი და ერიკ ლინდროსი გამოირჩეოდნენ, თუმც ახალბედა სიმონ განმაც იყოჩაღა. ნიუჯერსელთა წინსვლა კი პატრიკ ელიაშის შედეგიანობამ დიდად განაპირობა (7 მატჩში 7 გოლი), ხოლო კიდევ ერთმა ახალბედამ სკოტ გომესმა უფრო განიმტკიცა ლიდერობა დებიუტანტთა შორის. წარმატებით განვლეს ეს ორი კვირა ოტავამ და სენტ ლუისმა (ორივემ 7 თამაშში 10 ქულა მოაგროვა), აგრეთვე კოლორადომ (6 თამაშში 4 მოგება) ხოლო ნეშვილმა 8 წაუგებელი მატჩით კლუბის ახალი რეკორდი დაამყარა, თანაც 30 დეკემბერს ატლანტას 6:0 მოუგო. კალგარიმ მეკარე ფრედ ბრეტუეიტის ძალისხმევით 1994 წლის შემდეგ 50 პროცენტიან ზღვარს პირველად გადააბიჯა, დალასი ნელ-ნელა იბრუნებს პოზიციებს, ლოს ანჯელესმა კი ექვსი წაგების შემდეგ მთელი ჯავრი ედმონტონზე იყარა (8:2), თანაც ლუკ რობიტაილმა 5 (1+4) ქულა მიითვალა.

ერთხანს მოყოჩაღებულ მონრეალს ამ დღეებში საქმე კვლავ უკუღმა წაუვიდა. ეტყობა, კანადური კლუბი ვეღარ იბრძვის პლეი ოფში გასასვლელად, ისევე როგორც ტამპა (5 თამაშში 2 ქულა), რომელსაც უკვე 10 მატჩია არ მოუგია. ყველაზე უსუსურად კი ანაჰაიმი გამოიყურება — 6 თამაშში მოპოვებული 1 ქულით ლიგის უძლიერეს, წყნარი ოკეანის დივიზიონში ბოლო ადგილზე გადაინაცვლა.

ცხადია, ეს დღეები-ურეკორდოდ არ ჩაივლიდა. გამოჯანმრთელებულმა კოლორადოელთა კაპიტანმა საკიკმა სენტ ლუისთან შეხვედრაში მე-1000 ქულა მიითვალა და ლიგის ისტორიაში მე-14 მოთამაშე გახდა, ვინც ეს ერთ გუნდში ასპარეზობით შეძლო.

კიდევ ერთმა კაპიტანმა, დეტროიტელმა სტივ აიზერმანმა ანაჰაიმთან შესრულებული დუბლით ორი კურდღელი დაიჭირა — ჯერ ყოფილი თანაკლუბელი (იგი აღარ თამაშობს) დინო სისარელი გაწდევნა სნაიპერთა სიის მე-9 ადგილიდან, მერე 611 შაიბით ერთი საფეხურით მაღლა მდგომ ლეგენდარულ ბობი ჰალსაც გადაუსწრო.

დეკემბერში ერთბაშად 8 ოვერტაიმის ჩატარება დასჭირდა რეინჯერსს (კლუბის ახალი რეკორდი), დალასმა კი ლოს ანჯელესთან 3 იანვარს მოპოვებული გამარჯვებით „მეფეების“ წინააღმდეგ წაუგებელი სერია 20 თამაშამდე გაზარდა, რაც საკლუბო რეკორდს, რომელიც დალასმა ასევე კალიფორნიელებთან შეხვედრაში დაამყარა, სულ ერთითღა ჩამორჩება.

და მაინც ყველაზე შთამბეჭდავი ასევე დალასელ ბრეტ ჰალის მიღწევაა. „ოქროს ბრეტის“ უიღბლობა 31 დეკემბერს, ანაჰაიმთან თამაშში დასრულდა — როგორც იქნა მან ორი გოლი გაიტანა, რომლებიც მის კარიერაში მე-600 და 601-ე გამოდგა. და ეს მოხდა მაშინ, როცა იგი მე-900 თამაშს ატარებდა.

**სამველ ლარიბიანი**

## ბაყაყი ყინულზეც ყიყინებს

ნჰლ-ში ყოველი წლის დასაწყისში ხდება კურიოზები და ეს რა გამონაკლისი იქნებოდა. „შე ბაყაყო“ — უთხრა ოტაველმა ჩეხმა ვაცლავ პროსპალმა მონრეალის კანადელ ფრანგ პატრის ბრისბუას 29 დეკემბერს გამართულ მატჩში. ამით მან ალბათ ფრანგების ბაყაყებისადმი სიყვარულს გაუსვა ხაზი, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ამ სიტყვებს ერთ-ერთმა თანამსაჯმა მოჰკრა ყური. პროსპალს ეს რასისტულ გამოხტომად ჩაეთვალა და მოთამაშეს დროზე ბოდიში რომ არ მოეხადა, ეგებ ხელი დისკვალიფიკაციისთვისაც კი გამოეკრა. ეტყობა, ენაწყლიანობით ცნობილმა პიტსბურგელმა დარიუს კასპარაიტისმაც რაიმე ამგვარი უთხრა აილენდერსელ ჯინო ოჯიკს, თორემ საბრალო ლიტველს ასე უმოწყალოდ არ გალახავდნენ. თუმც დარიუსის სიტყვები არავის გაუგონია. სამაგიეროდ, ოჯიკს ძალიან ძვირად დაუჯდა ეს ანგარიშსწორება — აილენდერსის „მეომარი“, რომელიც წარმოშობით ინდიელია, 8 თამაშს გამოტოვებს.

### სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 43 | 24 | 4 | 3 | 15 | 129:105 | 55 |
| ოტავა | 41 | 21 | 6 | 2 | 14 | 114:103 | 50 |
| ბუფალო | 42 | 17 | 5 | 1 | 20 | 113:120 | 40 |
| ბოსტონი | 42 | 14 | 10 | 2 | 18 | 109:121 | 40 |
| მონრეალი | 41 | 12 | 5 | 1 | 24 | 89:111 | 30 |

ატლანტა

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 42 | 25 | 5 | 2 | 12 | 129:103 | 57 |
| ფილადელფია | 41 | 24 | 6 | 1 | 11 | 130:93 | 55 |
| პიტსბურგი | 40 | 18 | 3 | 5 | 19 | 131:118 | 44 |
| რეინჯერსი | 41 | 14 | 7 | 3 | 20 | 103:117 | 38 |
| აილენდერსი | 39 | 10 | 5 | 0 | 24 | 84:127 | 25 |

სამხრეთ-აღმოსავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 40 | 23 | 3 | 3 | 14 | 126:98 | 52 |
| კაროლინა | 42 | 17 | 8 | 0 | 17 | 107:111 | 42 |
| ვაშინგტონი | 39 | 15 | 1 | 7 | 17 | 98:105 | 38 |
| ტამპა | 39 | 10 | 6 | 4 | 23 | 106:139 | 30 |
| ატლანტა | 40 | 10 | 4 | 3 | 26 | 90:146 | 27 |

ცენტრი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 42 | 27 | 4 | 1 | 11 | 152:104 | 59 |
| სენტ ლუისი | 42 | 25 | 6 | 0 | 11 | 128:89 | 56 |
| ნეშვილი | 42 | 15 | 5 | 2 | 22 | 110:125 | 37 |
| ჩიკაგო | 42 | 13 | 6 | 2 | 23 | 119:132 | 34 |

ჩრდილო-დასავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 42 | 20 | 5 | 1 | 17 | 119:110 | 46 |
| ედმონტონი | 42 | 14 | 11 | 5 | 17 | 108:112 | 44 |
| კალგარი | 42 | 18 | 5 | 1 | 19 | 96:120 | 42 |
| ვანკუვერი | 40 | 13 | 8 | 3 | 19 | 103:120 | 37 |

წყნარი ოკეანე

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 41 | 22 | 4 | 0 | 15 | 129:113 | 48 |
| დალასი | 42 | 21 | 5 | 1 | 16 | 101:96 | 48 |
| სან ხოსე | 45 | 20 | 5 | 3 | 20 | 124:113 | 48 |
| ლოს ანჯელესი | 40 | 18 | 7 | 2 | 15 | 123:115 | 45 |
| ანაჰაიმი | 42 | 18 | 5 | 1 | 19 | 104:108 | 42 |

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 71 (32+39); რეკი (ფილადელფია) 55 (18+37); ტარჯონი (სენტ ლუისი) 52 (21+32); ნოლანი (სან ხოსე) 52 (27+25); რენიკი (ფინიქსი) 49 (21+28); პ. ბურე (ფლორიდა) 48 (28+20); ლეკლერი (ფილადელფია) 43 (23+20); ამონტე (ჩიკაგო) 43 (20+23); აიზერმანი (დეტროიტი) 42 (19+23); შენაჰანი (დეტროიტი) 41 (24+17); ვ. ბურე (კალგარი) 41 (20+17); ლინდროსი (ფილადელფია) 41 (17+24)*

*ახალბედები: გომესი (ნიუ ჯერსი) 40 (11+29); ტანგეი (კოლორადო) 25 (9+16); იორკი (რეინჯერსი) 24 (11+13); განი (ფილადელფია) 21 (7+14); ჰეხტი (სენტ ლუისი) 21 (6+15); აფინოგენოვი (ბუფალო) 19 (11+8); ლეტოვსკი (ფინიქსი) 19 (10+9); ს. კარია (ვანკუვერი) 19 (8+11); ლეგვანდი (ნეშვილი) 18 (9+9); შტეფანი (ატლანტა) 18 (4+14)*

ეროვნული ბიბლიოთეკა





REUTERS რიო დე ჟანეირიდან

# მანჩესტერი ბარაზე



REUTERS რიო დე ჟანეირიდან

. რატომ გაფრინდა „მანჩესტერ იუნაიტედი" ბრაზილიაში? პირველ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშით თავი ვერავის დაამახსოვრა და თუკი რაიმე მოგონება მოაქვს რიოდან, მხოლოდ იქაური ბარას პლაჟის გოგონებისა და ბავშვებთან ბურთაობისა. რიოში ახლა ზაფხულია (თუმცა იქ ზამთარშიც ზაფხულია) და ოკეანის პირად გამოფენილი გოგოები სულ გუნდ-გუნდად დასდევდნენ ჩრდილოელ ბიჭებს. ჩვენ პირიქით გაგვიგია, ბიჭმა უნდა სდიოს გოგოსო, მაგრამ ევროპის მეორე ფეხბურთელად აღიარებული კუნგ-ფუს ოსტატი და ვიქტორია ადამსის ქმარი დევიდ ბექემი ნაღდად გამონაკლისია. ეს გოგო, სანდრა ერნანდესი რომ ჰქვია და მეხიკოდან რომ ჩამოსულა ბარაზე შესარუჯად, აშკარად იწევდა ბექემისკენ... მხოლოდ წაისაუბრეს, მეტი არაფერიო, გვიდასტურებენ ყოვლისმცოდნე ჟურნალისტები. ბარაზე გასულ ალისფერ დემონებს ბარე ორმოცდაათი რეპორტიორი სდევდა აპარატების ჩხაკუნით და გასაუბრების მეტი რა გამოვიდოდა. ისე, ჩვენ თუ გვკითხავთ, სანდრა ძაან გოგოა და ვიქტორია პოშს მასთან კოჭი არ მიუხტება. „მანჩესტერს" კი თუკი რამ შერჩება ბრაზილიური ტურნედან, სწორედ რომ ბარას პლაჟის პატარა სიხარულები და პატარა სიყვარულები.

# გარბენი ბასკეთში

ესპანეთში ამორებიეტას განთქმული გარბენი მიმდინარეობს. უკვე მეორმოცე, ერთგვარად საიუბილეო შეჯიბრი ტრადიციისამებრ მშვიდად მიედინებოდა, მაგრამ ბასკურ მიწებზე გარბენისას, მორბენლებს დემონსტრანტებმა გადაუკეტეს გზა. ბასკი რადიკალი ახალგაზრდები თურმე სეპარატისტული ორგანიზაცია ეტას უჭერენ მხარს და ყოველ საერთაშორისო ამბავზე ასე ხმაურობენ. უკრაინელი მორბენალი სერგეი ლებედი დიახაც გაოცებულია, ამ გაბრაზებულ ხალხს ჩემგან რა უნდაო.



REUTERS ამორებიეტადან

# შაკილი და კარტიე

ლოს ანჯელესში დიდი ავტოშოუ გაიმართა. პროგრამის ლერძი „ლინკოლნ მერკურის" ახალი მოდელი „კარტიე-ელ თაუნქარი" იყო. მაგარი მანქანააო, ამბობენ, მილიონერი კაცისთვის, ვისაც სატრანსპორტო საშუალებაში ფეხის გამართვა და წამოწოლა უყვარს, ზედგამოჭრილიაო. „კარტიე-ელის" მთავარი წარმდგენი კი „ლეიკერსის" ცენტრი შაკილ ონილი ყოფილა, რომელსაც „ლინკონის" პრეზიდენტი მარკ ჰაჩინსი ხელში აუტაცია და თურმე ისე დაატარებდა.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# აგასის მზადება

*ანდრე აგასისა და შტეფი გრაფის სასიყვარულო მეგობრობა ხომ ცნობილია და აი, მელბურნ პარკის ცენტრალურ კორტზეც ერთად არიან. შტეფი ჩოგბურთიდან გადამდგარია, მაგრამ ვარჯიშში ეხმარება ამერიკისა და საფრანგეთის ღია პირველობების ამჟამინდელ ჩემპიონ თითქმის საქმროს. აგასი ავსტრალიის ღია პირველობისთვის ემზადება.*



REUTERS მელბურნიდან

# ახალი ბაშოს გახსნა

*ტოკიოს „მეიჯი შრინში" სუმოს საახალწლო შეჯიბრი იწყება. დიდი იოკოძუნა ტაკანოჰანა ესკვითარის მონდომებით ასულა ფიცარნაგზე და შეჯიბრის გამხსნელ რიტუალს ატარებს.*



REUTERS ტოკიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli